

ნემაგე



138 / 2  
1914

# სამაგისტრო



1914

თქოტმბერი, № 10, მოზრდილთათვის.


# საქართველო

საქართველოს  
ქრონიკა



საქართველოს მუზეუმი, 1914 წ.

3726




მონასტრის მიწები.





# ს ა რ ჩ ე ვ ი.

I—მენახშირეები, —სურ.	1
II—შემოდგომა, —(დექსი) გ. ლეონიძისა	3
III—ჩემი დღიური, —(შემდეგი) ი. კვდოშვილისა.	5
IV—ღელა, —ლეო იმნაძისა . . . . .	15
V—კაკის სველი, —(დექსი) ი. სისარულიძისა . . . . .	19
VI—შემოდგომის ღრუბლები, —ი. შუკდელიძისა . . . . .	22
VII—მინიონა, —მოთხრობა ფონ-როდენისა (გაკრძელება) თარგმ. გ. ლ—ძისა . . . . .	24
IIIIV—ილია ქავჭავაძე, —(დასასრული), ვახტანგ კოტეტი- შვილისა . . . . .	32
IX—საქართველოს შესანიშნავი ადგილები, —ჯვარის მო- ნასტერი, —(წერილი მეორე), ი. ანთაძისა . . . . .	44
X—შორეული ჩრდილოეთი, —(თავისუფალი თარგმანი), — ა. ა. სი . . . . .	57
XI—ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან, —წერილი მეოთხე, ი. რასტომაშვილისა . . . . .	60





# შემოდგომა.



ყე შრიალებს, ფერ-შეცვლილი,  
სიო დაჰქრის უცხო ხმაზე.  
ფრინველთ გუნდი წასასვლელად  
გადაეკრა ხაზად ცაზე...

ნაღვლიანობს არე-მარე —  
შესძარცვია სამოსელი.  
აღარ ხარობს, ცისკრეთის ეაშს,  
შობქყერიალე მთა და ველი.

ტბის ტალღებზე აღარ ცურავს  
გელი ტურფა, რთვილის ფერი.  
აბრე-მარეს აღარ ატკბობს  
მისი ჰანგი მშვენიერის..

წყარო სტირის: მე ბედკრულმა  
ვერ ვიხილო გაზაფხული...  
განთიადზე ციურ გზნებით  
ვერ აძგერდეს ჩემი გული...



მის ნაპირზე ლურჯი ია  
მისცემია ვარამ-დარდა,  
და, ცრემლებით მიღეული,  
ჩაჰკონია დამჰკნარ ვარდა!..

შეშა ნისლმა ჩაიკონა  
ცის-კიდურის სარეცელი.  
იქ ვარსკვლავი აღარ ნათობს  
მონარნარე სხივ-მფრქვეველი!..

ცისგან დაწულ ოქროს გვირგვინს  
ჩაეხვია ღრუბლის ქულა.  
ცის მნათობი მიწის კენესით  
დაიწყველა, დაიკრულა!..

ვაზაფხულის მგალობელმა  
ვარდზე ცრემლი გადმოღვარა.  
მინდვრად გაველ... იქ ყვავილი  
ტირილ-კენესით გადამშვარა!..

შთის მწვერვალებს ნისლი ჰფარავს,  
მომკვდარია შთი გული!..  
ოჰ, მოვიდეს ნეტავ შალე,  
საოცნებო ვაზაფხულის!..

გ. ლეონიძე.





## ჩემი ღიჟი\*).

### II



წყილი და კიანქველა დამშობილდ-  
ნენ. წავიდნენ ვახსა...

— რაო, რაო, — რწყილი და კიან-  
ქველა დამშობილდნენო? ეს კარგი  
გაკვეთილი მოუცია მასწავლებელს  
ხვალისთვის.

— რწყილი აბტა—დაბტა, შვიდა ლორთან... ჩემს დღე-  
ში ლორთან მისული რწყილი არ შინახავს. მართლაც და რა  
კარგი იქნება, რომ ვნახო!

— თინა, თინა! იცი რა—გითხრა? მოდი შენ ღორი იყავ  
და მე რწყილი ვიქნები. მე ავბტები—დავბტები და მოვალ  
შენთან.

ჩემს პატარა დაიას ძლიერ ესიაშოვნა ჩემი წინადადება,  
მაგრამ ლორივით-კი მაინცა-და-მაინც ვერ დავატყვილე.

\* იხ. „ნაკადული“, № 7.

— აი, ასე, თინა, აი, ასე: ი ი ი—ვასწავლი თეძან რივით ქუვიელს. „მი ი“... კნავის ის-კი კატასავით.

— შეტი რა გაეწყობა: რადგან ღორი ვერ გამბდარხარ, მოდი ისევ რწყილი იყავ-მეთქი!

ეს-კი უფრო მოეწონა და ერთი სკუპით მუხლებზე შემომახტა.

— ღორო, მომე ჯაგარი...—მეხვეწება თინა და მეც ღრუტუნით ვეუბნები, რომ თუ რწყილს ღორის ჯაგარი უნდა, ჯერ ის წითელი ვაშლი უნდა მომიტანოს პირთან, თინას ჯიბიდან რომ გამოიყურება მეთქი.

თინა ჯერ უფრო იღვია, მაგრამ შეტი რა გაეწყობოდა, მე ღორივით აღარ ვღრუტუნებდი, ღორის ღრუტუნით კი ძლიერ ვსიამოვნებოდა თინას, და ჯაგარზედაც უარი უთხარ. მაშინ იმან წელ-წელა ამოიღო თავისი ერთად-ერთი ვაშლი და მიუტანა ღორს პირთან. ვაშლი ერთ თავალის დახამხამებაზე მიეფარა თინას თავალს და ღორის მუცელში ამოჰყო თავი.

მაგრამ თინამაც საშაგიერო მომთხოვა:—ღორო, მომე ჯაგარიო...

თქვენ უნდა გენახათ იმისი ღრიალი, როდესაც მე ჯაგარზე უარი უთხარ. ვერაფრით ვერ დავარწმუნე, რომ მე ნამდვილი ღორი არა ვარ და არც ჯაგარი მაქვს.

უცნაურნი-კი არიან, ღმერთმანი, ეს ბავშვები! მოდი და ახლა იმის რაღაცა პაწია ვაშლისთვის მე ღორი გავხდე და ჯაგარიც გამოვისხა ღორივით.

— რა გაღრიალებს, რა ამბავია?—შემოიჭრა სამხარეულოდან ხელებ-დაკარპიწებული დედაჩემი და დავადგა თავზე.

— ვაშლი შემიქამა და ჯაგარს-კი აღარ მაძლევს!—შესჩივლა თინამ დედას. დედაჩემმა ვერაფერი ვერ გაიგო თინას საჩივრისა, მაგრამ დარიგება-კი შინც მისცა. დაარწმუნა, რომ ჯაგარი მისთვის საჭირო არ იყო და მე არც მექნებო-



და ეს ჯავარი, რადგან მე ლორი-კი არა ვარ, მე ვარ მოსამზადებელი კლასის შეგარდი ლეო.

— ჭიანჭველას რამდენიც გინდა, იმდენს ვიშოვი და „მოკაკალოსაც“ მოგიყვან-მეთქი, — ვანუგეშე ჩემს მხრივ თინა.

— ეეჰ, ნეტა-კი იცოდეთ, ვინ არის ეს მოკაკალო.

— ქვაბები მოკაკალო, ქვაბები მოკაკალო, — დიდის პატარა ლეკი ქუჩა-ქუჩა და ყვირის, ანუ, უკეთ ვსთქვა, — ქნავის. საწყალი მოკაკალო ენა-ჩლოუნგიც არი.

— რა გქვიან? — ეკითხე მე მას ერთხელ, როდესაც ჩვენს ეზოში შემოიძახა.

— მვე ლე — კე — კი, ლეკი ააალო... ჰკა მქვიანო.

წელზე მოკიდებული ტომარა ძირს დასთრევედა და ძლიეს-ძლიობით სძრავდა შიგ ჩაწყობილ მოსაკალ ქვაბებს. შემდეგში, როგორც ვაივებ, ის ჩვენს ახლო მეოთხე ქუჩაზე ცხოვრობდა თურმე და ძლიერაც დამეგობრდით მე და ის. მხოლოდ ესთხოვე-კი, რომ სახელი გამოეცვალა: ალაპკას მაგიერ „მოკაკალო“ რქმეოდა. ალაპკა ამაზედაც სიამოვნებით დამთანხმდა, მით უმეტეს. რომ სახელის გამოცვლაში დავანათლიავე სარკის პატარა ნატეხი, და როდესაც მოკაკალომ შიგ ჩაიხედა, ორივეს გულიანად სიცილი აგვიტყდა. ალბად მოკაკალოს ჯერ თავისი სახე არ ენახა. ძლიერ გაუკვირდა, როდესაც მისი ეჭვითი ყურები, დიდი შავი თვალები და ქვაბის მურში გაშავებული სახე სარკეში გამოჩნდა. ის ხან ცხვირს სინჯავდა თითოთ სარკეში, ხან ნიკაპს. ეგონა ხელს წააღებდა და ძლიერ გაკვირვებული იყო, როდესაც სარკეში ცხვირიც კარგად ჩანდა, ნიკაპიც, მაგრამ ხელით-კი ვერც ერთი ვერ დაეჭირა.

მოკაკალოც, როგორც თვითონ მითხრა, სოფლიდან ქალაქში ჩემსავით სასწავლებლად ჩამოეყვანათ, მხოლოდ მას მკალოაბა უნდა ესწავლა, მე-კი წიგნი, მაგრამ ვერ წარმოიდ-

გენტ, როგორ მომინდა მეც მკალობა! სამავიეროდ მთავრად  
ლოც ხშირად წააველებდა ხოლმე ჩემ წიგნებს ხელს, ვადა-  
ჭულიდა და დაუწყებდა ასოებს თითით სინჯვას. შავრამ მის  
სიხარულს საზღვარი არა მქონდა, როდესაც წიგნში ნახატ  
შეხედებოდა.

— ბევრია ჩვენს მთაში, ძლიერ ბევრია, აი ეს, აი ორ-  
მი, ვფლური ღორი, ჯიხვი...— ჩამოაყოლებდი სიხარულით  
თვალემ-გაბრწყინებული მოკაკალო. ის მთა, რომელსაც მო-  
კაკალო თავიანთ მთას ეძახის, მეც ბევრჯელ მინახავს; მას  
კავკასიონის მთის ქედს ეძახიან და კახეთს ჩრდილო-აღმოსავ-  
ლეთით საზღვრავს.

— გიყვარს შენი მთა?— ვკითხავდი ხოლმე მოკაკალოს.

— უუუ!— მიბასუბებდა კმაყოფილების ნიშნად ჩემი მე-  
გობარი, და თვალები ცრემლით ავესებოდა.

ძრიველ, ძრიველ უყვარდა მოკაკალოს თავისი მთა.

ერთხელ მე მას ქალაღზე დაუბატე კავკასიონის ქედი.  
მოკაკალო დიდხანს ათვალევრებდა ნახატს, რალაცას ფიქრო-  
ბდა, რალაცას იგონებდა, რალაცას ეძებდა კარანდაშით მი-  
ყრილ-მოყრილ მთის ქედებში და უცებ ქვითინი აუვარდა.  
ქალაღდი გულში ჩაიკრა, თითქოს ეშინოდა არავინ წამარ-  
თვასო და გაიქცა თავის სახელოსნოსაკენ.

ძრიველ, ძრიველ უყვარდა მოკაკალოს თავისი მთა.

როგორ გამიკვირდა, როდესაც ის მეორე დღეს თვალემ-  
გაბრწყინებული მოვარდა ჩვენს ეზოში. იმან ჩვეულებრივი  
საიდუმლოებით, რომელიც მხოლოდ ჩვენ ვიცოდით ერთმა-  
ნეთში, მანიშნა, რომ მასთან სახელოსნოში მივსულიყავ, და  
გაქრა ეზოდან.

მე ვერ მიშვდარიყავ—რამ გაახარა ასე მოკაკალო. ვი-  
ფიქრე: იქნებ მამა ჩამოუვიდა ქალაქში, ან თავის მთაში მი-  
მყავთ მეთქი, და ცოტა არ იყოს შეწყინა კიდევ მოკაკალოს  
დაშორება.



მე ფიცხლავ მის სახელოსნოში გავჩნდი. მოკაკალოს ოსტატი იქ არ იყო, და ჩვენ თავისუფლად ვგრძნობდით თავს.

— აი, აი მთა: აი როგორია მთა, ჩვენი მთა! — ლიყლიყებდა მოკაკალო და ნახშირით კედელზე დახატულ სურათზე მითითებდა. იმის ნახატი სრულებით არა ჰგვანდა ჩემს ნახატს, არც იმ მთის სურათებს, რომლებიც მე წიგნში, ან რუქაზე მინახავს. მაგრამ მთას-კი საკვირვლად მაგონებდა და თვალწინ მიშლიდა მის არე-მარეს.

აი, უკბად ატყორცნილი და შორს, შორს, ცის სივრცისაკენ წასული იაღბუზი. ის დანარჩენ კავკასიონის ქედებს დაჰყურებდა ზევიდან ამაყად. აგერ იქ, სალი, ფრიალო კლდე, რომელზედაც გადმომდგარა ლამაზი ჯიხვი და ათვალისიერებს ძირს ქალა-ტყე-მინდორს. აქ ერთ ადგილას. მოკაკალოს ცხვრის ფარა შეუშლია ქედზე და მოუყენებია სადარაჯოდ მწყემსი და ქოფაკი ძაღლი.

— ეს მამაჩემია, — ამიხსნა მოკაკალომ; ეს — ჩვენი ბასარაა... — მიმითითა ძაღლზე, — და ეს-კი ჩვენი სახლია, — დაადგო თითო კლდის გულზე მერცხლის ბუდესავით მიდგმულ, დიდი ქვებისაგან დაწყობილ ქობს.

მე რომ ამ წუთს მოკაკალოს უყურებდი, ვეღარ-კი ვცნობდი მას. ის მუდამ დაღონებული, დაღვრემილი, წელში მოხრილი, ახლა წელში გაშლილი იდგა, შუბლი გადაბნოდა და ისეთი თვალებით მიყურებდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: — აი, ჩვენი მთა როგორი ლამაზია; აი, სადაური ვარ მეო!

— ყოფილხარ შენ აქ? — დავეკითხე მოკაკალოს და მიუთითე ერთ ქედზე რომელიც მოკაკალოს ზედ თავიანთ სახლის ბუხართან მიგვრის-მოგვრისნა ნახშირით.

— ააქ? — შემეკითხა თავის მხრივ და ძლიერ განვიკვირე ჩემი კითხვა.

— მე სულ აქა ვარ; მე სულ აქ დავდივარ. ავღგები თუ არა დილით, აქეთენ გავიქცევი ხოლმე, — დამიწყო მოკაკალომ ასე, თითქოს ის ახლაც იქ ყოფილიყოს. აქ ისეთი წყაროები გამოდის, ისეთი, რომ მაქ ერთი დიდი წყალიც გადმოჩხრიალებს მაღალ, ძლიერ მაღალ, კლდიდან და გააქვს ძალზე შხუილი. აქ ამორეკავს ხოლმე მამაჩემი ცხვარს წყალზე. არწივის ბუდეებიც ბევრია აქ. ღამე ისე ტირიან, ისე ქივიან არწივები, გეგონება — პაწია ბავშვი იყოს. მე სულ აქა ვარ...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა მოკაკალოს, მაგრამ მოავგონდა, რომ ის ამ წუთს იქ არ იყო და უცებ დადონდა. თითო ნახატს ჩამოაშორა და მწარედ ამოიოხრა.

— ქურა, ქურა არ ჩამიჭრეს, თორემ ოსტატი შავ დღეს დამაყენებს, — ჩაიწურჩულა მან, როცა თვალი მოავლო პაწია სახელოსნოს, მერე ჩადგა ტყავის საბერველის შუაში, ორივე ხელი საბერველის დასაბერ ქიმებს მოსქიდა, დაუბერა და გააღვია მინელებული ცეცხლი ქურაში, ოსტატის მოლოდინში.

წუხელის დიდხანს არ დამეძინა. როცა დამეძინა, მაშინაც მთელი ღამე სიზმრებში ვავატარე. სულ კავკასიონის მთა მვლანდებოდა. ხან ქექა-ქუხილი მესმოდა, ხან შავი ღრუბლები შეხვეოდნენ ვარშემო! შეშინოდა, ვკანკალებდი, აქეთიქიდან ღვართქაფი მოღრიალებდა, ქარი ძალზე გუგუნებდა.

მე და მოკაკალო ერთად ავედით მთაზე, მაგრამ ის სადღაც დამეკარგა ბნელში, ცრემლი ყელზე მომაწვა, საცაა დაფიყვირებ; მაგრამ ამ დროს გამოჩნდა მზე, ღრუბლები გადაიფანტა, წყაროებმა ტკბილი წკრიალი გააბეს და მეც კომბალით ხელში უდექ ცხვრის ფარას; მეორე მხარეს მოკა-

კალოს შეეშალა ცხვარი. მას გვერდზე ბასარა ძალიან  
 დევდა! მოკაკალო-კი ტპილიად უკრავდა სალამურს და თან  
 ხელს მიქნევდა, რომ მისკენ წავსულიყავ.

— მოვდივარ მო... მოკაკალო!

— შენ და შენი მოკაკალო: ძილშიაც სულ ის გვლან-  
 დეხა!— დამძახა დედაჩემმა და ვადამზადა საბანა.

თვალეები გავახილევ: შთა-კი არა, ქვეშაგებში ვყოფილვარ.  
 მეწყინა; დავლონდი. თვალეები ისევ დაეხუჭე. ვცდილობდი  
 მომეგონებინა სიზმარი, შენახა ისევ შთა, წყაროები, ქედზე  
 შემლილი ცხვარი.

— ადევ, ადევ, ზეზე: ვაკვეთილები გაიმეორე; საცაა  
 სკოლაში წასვლის დროც მოვა, — კიდევ დაარღვია ჩემი სიზ-  
 მრების ბურუსი დედამ და მეც ძალა-უნებურად ჩაქმა და-  
 ვიწყე.

შთა-კი, შთა მაინც არ მშორდებოდა ფიქრებიდან.

გაკვეთილი დაიწყო. მე მაინც შთა შითამაშებს თვალ-წინ.  
 მასწავლებელის კითხვა და ამხანაგების პასუხი რაღაც ბუნდად  
 მესმის. სამაგიეროდ კარგად ვხედავ მოკაკალოს და კარგად  
 მესმის მისი სალამურის ხმა.

— ახ, ღმერთო, ნეტა მალე-კი ვათავდეს ვაკვეთილი, —  
 ეფიქრობ გუნებაში. მაგრამ თითი მაინც აშვერილი მიჭირავს:  
 მინდა მასწავლებელს ეგონოს, რომ დიდის ყურადღებით  
 უსმენ.

კედელზე ჩამოკიდებულ ერთ სურათზე ჯიხვია დახატუ-  
 ლი, — ლამაზი, რქებ-გაშლილი, თვალეებ-გაცვარებული ჯიხვი.  
 ისიც სადღაც შორს, შორს იყურება! აღბად მთას უყურებს.

უცებ ჯიხვი შეინძრა, ჯერ პატარ-პატარა ნახტომები გა-  
 აკეთა, მერე მოღუმატა, შემდეგ-კი ხან საღ კლდეზე დასრი-  
 აღდებოდა, ხან კლდის კონცხზე ჩამოვკიდებოდა რქებით.



ხან-კე ისეთ კამარას გააკეთებდა ხოლმე ჰაერში, კაცს ეგონებოდა—მთას თავზე გადაახტებო.

საიდანღაც გამოჩნდა ირემიც, ნესტოებ-ვაბერილი, თვალელებ-დაქვეტილი, წითელ-ფერ-დაკრული, კისერ-უკან-გადახილული. ლამაზი ირემი, ის არა ხტოდა. — არა: ჯერ ღინჯად მთის კიე წყაროს დაეწაფა, და როცა წყლით გული იჯერა, ასწია თავი და მთის ქედიდან დაუწყო ყურება ძირს გადაშლილ-ტყე-ველს. მე მას თვალეებში შევსცქერი.

— ტანზე რა გზურავთ? პერანგზე რაღას იცვამთ? ახალუბზე? შესმის მასწავლებლის კითხვები ბუნდად.

რა, რა ლამაზია ეს ირემი და! მე მას ყელზე ვებვვი, ვკოცნი თავზე. ვკოცნი თვალეებში. მოკაკალო სალამურს უკრავს.

— ირემი! ბატონო მასწავლებელო, ირემი!

როგორ? როგორ თუ ირემი: განა ირმის თავზე დახურვა შეიძლება?—მეკითხება ვაოცებული მასწავლებელი.

თურმე „სასაუბროს“ გვიხსნიდა, და როცა მე მკითხა— თავზე რა გზურავთ, — ირემი—მეთქი, —უპასუხე რიხიანად.

ამზანაგების სიცილ-ხარხარმა მომავგონა, რომ მე მთაზე-კი არა, კლასში ვიყავ.

თავზე ირმის დახურვისათვის მასწავლებელმა დამსაჯა მით, რომ ერთი საათით დამტოვა სკოლაში გაკეთილების შემდეგ. არც დედაჩემმა გადამისვა თავზე ხელი. იმანაც ჩვეულებრივ წამიკითხა თავისი დარიგება, რომელიც მე კარგა ხანია ზეპირად დავისწავლე.

ემ, —აბა იმაფაც ჩემსავეით სიზმრები ნახონ! აბა იმათაც ჩემსავეით მოუნდეთ მთის ნახვა; და მაშინ წამოჩნდებოდა—რა ბიჭები არიან!

სხვა აღარა დამრჩენია-რა—დარდიან გულზე ისევ მოკაკალოსთან უნდა წავიდე. ასეც მოვიქეცე, და სალამო ხანს,

როდესაც მოკაკალო თავისუფალი იყო, ჩაუარე იმათ ქურამის ჩვეულებრივ ჩვენგან შერჩეულ ადგილს მიცდიდა, მაგრამ როცა მიველ, ხმა არ ამოუღია.

მიხვდით, რომ მოკაკალოსაც რაღაც უნდა შემთხვეოდა, მაგრამ როდესაც დეაკვირდი იმის ჩაშავებულ ლოყებს და გატეხილ ცხვირს, მაშინ-კი დავრწმუნდი, რომ ოსტატს კიდევ უდიერად უცემია მისთვის.

— გცემა? — შევეკითხე გაუბედავად მოკაკალოს. მოკაკალომ პასუხას მაგიერ თვალებში ცრემლებ-მოწოლილიმა შემომხედა.

— წუხელის მთელი ღამე არა მძინებია; ჩამძინებოდა თუ არა, ასტებდა ყუფას ჩვენი ბასარა ძალი და გამომეღვიძებოდა. მთაში ვიყავ, — სულ მთაში ვიყავ, დღეს-კი ქურაზე დამძინებოდა და ოსტატმა გამლაბა, — შემომჩვილა მოკაკალომ და ველარც ცრემლები შეიმაგრა.

— მკლავებიც მტკივა, ვიღლები, ველარც ქურისთვის დამიბერნია, — ქვითინებდა მოკაკალო და მოსთქვამდა თავის დარღს.

მართლაც, და საწყალი მოკაკალო, დილა ადრიან — შებინდებამდე, იდგა ფეხზე, საბერველის შუა, მკლავებ-გაქიმული, თითქოს ჯვარზე გაუკრავთო, და დაუსვენებლივ ამუშავებდა საბერველს. ან არა და მოიკიდებდა ტომარას, ხან მარტო, და ხან თავის ოსტატთან ერთად, დადიოდა ეზო-ეზო მოსაკალ ქვაბების მოსაგროვებლად.

მე გაჩუმებული ვიდექ მოკაკალოს წინ: არ ვიცოდი, რით მენუგეშებინა.

— დედაჩემს ვეტყვი, შევეხვეწები, რომ მოკაკალო შინ წავიყვანოთ, ჩვენსა იყოს, — ვფიქრობდი ჩემთვის, მაგრამ დედაჩემის იმედიც არა მქონდა, რომ ჩემ თხოვნას შეასრულებდა, რადგან ჩემზე გაჯაფრებული იყო კლასში უყურადღებობისათვის.

— უნდა წავიდეს! — დაარღვია სიჩუმე ისევ მოკაკალომ.

— სად? — შევეკითხე გახარებულმა მით, რომ მოკაკალომ ალბად იპოვნა საშუალება თავის შველისა შეთქი.

— სადა და მთაში, — შინ, დედასთან, ცხვარში! ჩემს თავში მოკაკალოს სიტყვებზე უცებ ისევ აირია მთა, წყარო, ირემი; სალამური, ცხვარი;


— მეც, მეც შენთან წამოვალ; ერთად წავიდეთ, მოკაკალო, ერთად! — შევეხვეწე მოკაკალოს და გახარებულმა ხელი გადავხვიე.

მცირე თათბირის შემდეგ მე და ჩემმა მეგობარმა გადაწყვიტეთ მთაში გაპარვა და შეუდევით კიდევ ამის თაღრიგს.

ი. ცვლოშვილი.

(შემდეგი იქნება).





# დ ე ღ ა.

(ჩვენად ქვარყვას დედას—შხეხა ხუნდაძეს).



ვანობისთვის პირველი რიცხვები იყო. სასწავლებელში გამოცდები გათავდა და გახარებული შინისაკენ მივისწრაფოდით.

ერთი სოფლის მოწაფეებმა მოვილაპარაკეთ:—ყველანი ერთ დღეს გამგზავრებულეყავით შინასაკენ, რათა უფრო მზიარულად გვემგზავრა; ამასთან გადაეწყვიტეთ ყველას უთუოდ მესამე კლასის ბილეთი აგვე-

ლო. დავნიშნეთ დღეს, როცა ერთად უნდა მოგვეყარა თავი სადგურზე.

დანიშნულ დღეს, როცა სადგურზე თავი მოვიყარეთ, მეტის-მეტად ცხელოდა. სადგურზე აუარებელი ხალხი დასეირნობდა და ისედაც შეხუთულ ჰაერს კიდევ უფრო ხუთავდა. ჩვენ ყველანი ოფლში ვიწურებოდით, მაგრამ ამას თითქოს ვერ ვამჩნევდით და, შინაურების ნახვის მოლოდინით გახარებულნი, პატარა ბავშვებივით ვხტოდით:—ცა ქუ-

დად არ მიგვაჩნდა დედამიწა ქალაქნად, — თითქოს მარტო  
ქვეყნის ბატონ-პატრონი მარტოკა ჩვენ ვიყავით.

სადგურზე მგზავრების ჩვეულებრივი ფუსფუსი იყო.

ცოტა ხანს შემდეგ მატარებელმაც ჩამოისრიალა და  
ყიყინით შეეცვივდით შიგ. ჩვენ მგზავრობას სწორედ უფა-  
ლი შფარველობდა: იმ განყოფილებაში, სადაც მოვხვდით,  
თითქმის არავინ იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ  
იმ მგზავრებს, რომლებიც ზევით ტახტზე იწვნენ. სწრაფად  
დავიქირეთ ყველა თავისუფალი ადგილი და მოვილაპარა-  
კეთ — ვინც უნდა მოსულიყო, არავისთვის ერთი გოჯი ად-  
გილიც არ დაგვეთმო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ვა-  
რედ გრილოდა, მატარებელში სულის შემხუთველი სიცხე  
იღგა...

ის იყო მატარებელი დაიძრა, რომ ჩვენს განყოფილება-  
ში ერთი ქალი შემოვიდა და ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

— ქალბატონო, აქ თავისუფალი ადგილი არ ვახლავთ.  
ეს ადგილი ჩვენია და გთხოვთ სხვა განყოფილებაში მიზრძან-  
დეთ, — უთხრა ქალს ჩემმა ამხანაგმა.

— როგორ თუ თქვენია? თქვენ ვინ გაჩუქათ? — ნალვლი-  
ანად მიუგო ქალმა.

— ჩვენ-კი არ გვაჩუქეს, მაგრამ თქვენზე უწინ ჩვენ  
დავიქირეთ, და მაშასადამე ჩვენია, — მკვახედ მიუგო ქალს ბა-  
თომელმა ლიზამ.

— თუ ამ უფლებით გინდათ მიისაკუთროთ, მაშ ჩემი  
უფრო ყოფილა, — განაგრძო ქალმა: — მე დილას აქეთია აქა  
ვზივარ, რაც თბილისიდან გამოვედით; აი, ჰკითხეთ ამათა, —  
და ქალმა ზევით ტახტზე მჯდომ მამაკაცებისაკენ მიგვიითთა,  
რომლებიც ჩვენს ლაპარაკში წამომდგარიყვნენ და ყურს  
გვიგდებდნენ.

— დიად, მართალია, მართალი, — დაეთანხმნენ ქალს მა-  
მაკაცებიც.

მეტი გზა არ იყო: მივიწ-მოვიწიეთ და ქალს ადგილი დაუთმეთ.

უკვე დაღამდა. ჩამოზნელებულ ვაგონში ერთი მეორეს ძლივს ვარჩევდით. ყველანი ჩუმად ვისხედით, თავ-თავიანთ ფიქრებში ვართულნი, და მატარებლის თვლებს ჯახა-ჯუხს ძალა-უნებურად ყურს უგდებდით.

ვაგონში კონდუქტორი შემოვიდა და სანთლების ანთება დაიწყო. როცა სანთლის მკრთალი შუქი იქაურობას მოეფინა, შევნიშნე, რომ ჩემი მეზობელი ქალი რაღაცაზე მწარედ, უზმოდ სტიროდა, — სრემლების ნაკადულები ღვარად ჩამოაუდიოდა დამქნარ ლოყებზე.

— რაზე სტირით? — შევეკითხე შეწუხებულმა. ქალმა არაფერი არ მიპასუხა.

— რატომ არ ამბობთ — რაზე სტირით? — შევეკითხა ჩემი ამხანაგი.

— იქნებ ჩვენ ვაწყენინეთ რამე? — კვლავ დავეკითხე მე: — გთხოვთ გვაპატიოთ: — უნებურად მოგვივიდა; ჩვენ სრულებით არ გვინდოდა თქვენი შეურაცხყოფა.

ახლა სხვა ბავშვებიც დაგვეხმარნენ: ყველანი ვცდილობდით ქალის დამშვიდებას. ზევით ტახტზე მწოლნიც საყვედურით გვიცქეროდნენ და ეს კიდევ უფრო გვაწუხებდა.

— თქვენი ბრალი არ არის, — დაიწყო ქალმა, როცა ცოტათი დაიმშვიდა გული: — თქვენ ბავშვები ხართ, და რაციით, რომ ტანჯული ადამიანისათვის ერთი უკმეხი სიტყვა, უკმეხი მოპყრობა ძველი დამცირების განახლება, ძველი კრილობის გაღრმავება... არა, მე თქვენზე არ ვჯავრობ... არა, მე თქვენ არ ვემდურით... ამაზე არ ეტირი... მე... მე... შეილმა გამომავდო სახლიდან... და ქალს ამ სიტყვებზე კვლავ მღულარება წასკდა თვალებიდან.

— როგორ, თუ გამომავდო? რატომ? — ვეკითხებოდით ჩვენ ცოტა დარცხვენინი.

— წადიო, მეტი ბარგი ხარო... ჩემმა ტანჯვით გამო-

ზრდილმა შეიღმა ვერ გამოიტანა, სხვები როგორღა გამოიტანა ნენ,—ხელების მტკრევით, სასოწარკვეთილი ამბობდა საბრალო დედა.

— ახლა სად მიდიხართ?—კვლავ დავეკითხეთ ჩვენ.

— მეც არ ვიცი... იქ, ბათოშში შორეული ნათესავეები მყავს: იმათთან მივდივარ. მაგრამ ბინაც არ ვიცი,—სად დგანან... რა ვქნა... რა შეველეება—არ ვიცი...

ქალმა კვლავ ტირილი დაიწყო. ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა და ისმოდა მხოლოდ მატარებლის თვლების შეუბრალებელი ქახა-ქუხი...

— იცი, რა გითხრა?—კოტახანს შემდეგ უთხრა ქალს ბათომელმა ლიზამ:—მეც ბათოშში მოვდივარ და მე გაგიწევ დახმარებას. თუ ვნახეთ შენი ნათესავეები,—ხომ კარგი, თუ არა და მოსამსახურეს ადკილს იშოვნე სადმე. მანამდე კი ჩვენსას დარჩი; დედა ჩემი კეთილია; და ის შეგიუღრებს.

ყველამ სიამოვნებით ამოვისუნთქეთ, ყველანი მზად ვიყავით დაგვეკონა ლიზა ამ კეთილი სიტყვეთა თვის.

მხოლოდ დედა იჯდა უბრაველ და უბზოდ, მწარედ ტირილდა; თითქოს მას არც-კი ეხებოდა ეს კეთილი გულიდან ამონახეთქი სიტყვები.

მალე კონდუქტორმა ჩამოგვიარა და ჩვენი სადგურის სახელი ახსენა. სახლს, მშობლებს ვუახლოვდებოდით. ყველანი სწრაფად წამოვხტით და ჩამოსახლელად მოვემზადეთ.

კარგა ხანმა განვლო ამ ამბის შემდეგ, მაგრამ ჩემ თვალწინ დღესაც ნათლიად სდგას საბრალო შეურაცყოფილი დედა და ყურებში კვლავ მომესმის მისი მწუხარე, უბზო ტირილი...

დღესაც ვერ მიბატებიხა ჩემი თავისათვის ის პატარა შეურაცყოფა, რომელიც მას უნებურად მივაყენეთ.

ნეტა რას ფიქრობდა იმისი შვილი?

იმუიპეტი ლეო იმნაძე.



ქართული  
საქმიანობა



# კაპის სეველა.



...აპ, ჩვენებს ტყე გაუკაფავს!  
...სტკერ, გული შემიწუხდა.  
...წყარო შრება იქ, სულს ღაფავს,  
...ჩხრიალით რომ გადმოქუხდა!

...რა ვქნა, ველარ დაეინახე  
...თმა-ხუტუკა ტყე შემკული;  
...დაღვრემია შავად სახე:  
...მიტკერს ცეცხლით დახრუკული.

...ჩვენ სახლს როგორ ამშვენებდა,  
...რა საამო ჩრდილსა ჰდენდა!  
...ყოველ-გვარი ფრინველთ გუნდი  
...შიგ გალობდა... სულ იქ სტკენდა!

...აწი ველარ დაეინახავ  
...მის ლურჯ კაპის რხევა-ცქრიალს,





აწი ველარ გავიგონებ  
წყაროს ჩუხჩუხ-ჩქეფა ჩქრიალს...

ვერც ფრინველთა საამო ხმას,  
დამატებობელს დაწყლოულ გულის,  
აწი აღარ მიხარია  
მოსელა ტურფა გაზაფხულის!

იმიტომ, რომ ვერ ვიხილავ;  
ტყეს გაფურჩქენილს, მოზიბინეს:  
ის უწყალოდ გადასჩეხეს  
და მიწაზე მიაწვინეს!..

მუხის ჩრდილში წიგნით ხელში—  
ვერ დავჯდები, — გულს ეს მიკლაფ;  
ბროლის წყარო სიციხით დამწვარს  
ცხარე წყურვილს ვერ მომიკლავს.

ახლა ქარი თავისუფლოდ  
მოჰქრის შთიდან, მოსისინებს;  
სახლს უბერავს ყოველ მხრიდან:  
არ მასვენებს, არ მაძინებს!..

მამას ვკითხე: რად ვაჰკაფე  
ეს ტყე, ნაზად მოლაღანე,  
რად გადასწვი, მითხარ, ცეცხლით  
მისი კოხტა მკერდი მწვანე?

დამიყვავა და ეს მიიხრა:  
— მაშ რა შექნა, გეთაყვანე,

თუ-კი არსად არ გამაჩნდა  
ამის გარდა სხვა საყაწე!

რას ვიტყვოდი... შეც დავრწმუნდი:  
ვაჭირვებამ აიძულა...  
და მას შემდეგ იქ, იმ მთაზე,  
ერთი ხეც არ გაფურჩქნულა.

ი. სიხარულიძე.





## შემოდგომის ღრუბლები.



შემოდგომის ღრუბლებო,  
საით მიეჩქარებით,  
სად არს თქვენი სადგური,  
ვისთან დაემყარებით?

რათა სტირით მუდამ ეამ,  
კმუნვით გამოშვირალნი?—  
ვინ არს თქვენი შშობელი,  
ვინა გშობათ მტირალნი?—

იქნებ დედა მოგიკვდათ,  
გარდაიქცა ფერფლადა,  
შემოდგომის სუსტ ბალახს  
რომ ეფრქვევით ცრემლადა?

ან თუ ვერ გიპოვნიათ  
დედის ტკბილი საფლავი,  
და გზას აღარ გინათებთ  
ბედის-წერის ვარსკვლავი?..


შემოდგომის ღრუბლებო,  
მეც ობოლი ბავშვი ვარ,  
და თქვენსავეთ პირქუში,  
გარე-გარე დავდივარ.

ვერც მე ვპოვე საფლავი  
ბედკრულ დედაჩემისა  
და დავღვარე ცრემლიც მთლად—  
ძალა მწუხარებისა.

შემოდგომის ღრუბლებო  
გთხოვთ მე თხოვნით ძმურითა:  
შემეშველეთ აედამყოფს,  
მკირე სამსახურითა,

და თუ ჰპოვოთ საძარცველი  
სადმე დედაჩემისა,  
დააპურეთ ჩემს ნაცვლად  
ცრემლი მღულარებისა!..

ი. მკედლიშვილი.





# მ ი ნ ი ო ნ ა.

## X

კებერლეს მიერ მინიონას პოეზია.



ათენებისას გზატკეცილზე გამოჩნდა ერთი არა-ჩვეულებრივი ეტილი. ის უფრო თვლებზე შედგმულ პატარა სახლს მოგაგონებდათ, ვინემ ეტოს. არც შეეტლე ჰგავდა ჩვეულებრივის; ის გაღატაკებულ მსახიობს მოგაგონებდათ. ტანზე

ეცვა ქრელი შარვალი და მაუდის სერთუკი. თავზე განიერი ქუდი ეხურა. შავი გრძელი თმა მბრებზე დასცემდა. სახე ჰქონდა მზისაგან დამწვარი, თვალები ცოცხალი და გონიერი. შავ-ულვაშებს ქვეშიდან მოსჩანდნენ ძალიან თეთრი კბილები. ეს კაცი გახლდათ იოსებ კებერლე. ის ბრუნდებოდა ქ. ფრანკფურტიდან, სადაც დიდი ბაზრობა იციან. დიდძალი ხალხი ირევა ხოლმე. აქ კებერლემ რამდენიმე წარმოდგენა გამართა თვისი დასით. ეს დასი შესდგებოდა რამდენიმე მაიმუნისა, ორი პონისა (ბაჩა ცხენის) და ერთ გაწვრთნილ ძაღლისაგან. ახლა ბ. კებერლე მიემგზავრებოდა ოჯახობითა და თვისი დასით ქ. ეიზენახისაკენ. კარგ გუნება-

ზე გახლდათ, რადგანაც ფრანკფურტში კარგად წაუვიდა საქმე და ბევრი ფული მობოქა. მ-ერეკებოდა ცხენებს და მზიარულად უსტვენდა. უცბად მისი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა სანახაობამ: გზის პირად იწევა და ეძინა ბავშვს, რომელსაც ცხენებმა ფეხი კინაღამ დაადგეს.

— ეს რა ამბავია?—გაკვირვებით სთქვა კებერლემ,—ეს ხომ კოცხალი ბავშვია. ეი, შენ, გაიღვიძე!—შესძახა მან და შიინარეს ფეხი წაპკრა.

მინიონამ გაახილა თვალები, მაგრამ ერთბაშად ვერ მოისაზრა, თუ სად იმყოფებოდა და გაკვირვებით შეხედა კებერლეს, რომელიც თავზე ადგა.

— პატარა ქალო! როგორ მოხვედი ამ ტუეში? კარგი ადგილი-კი აგირჩევია დასაძინებლად.

მინიონა შიშით შესცქეროდა მოსაუბრეს.

— როგორ მოხვედი აქ?—აღბად სახლიდან გამოიქცევი; არა?—განუშეორა კითხვა კებერლემ.

ამ სიტყვებზე კებერლეს გაეცინა, რამაც მინიონას გულადობა შეჰმატა და გააბედვინა:

— ისე ძალიან მცემეს, ისე, რომა...

— აჰა, გცემეს? ვინ გაგიმასპინძლდა? დედა?

მინიონამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა, ბოროტმა დედაკაცმა მცემა. დედა მკვდარია, ცაზე არის, მამასთან ერთად.

— კარგი და ახლა საითკენ აპირებ წასვლას?

— არ ვიცი, — მიუგო მინიონამ და გზას თვალი გააყოლა.

— როგორ, თუ არ იცი; მაშ როგორ უნდა იარო?—ჩაეძია კებერლე.

— ოღონდ-კი იქაურობას მოეშორდე და, — სთქვა მინიონამ და წამოიწია, თითქო უნდა ადგეს და გაიქცესო.



— ოლონდ-კი მოვშორდე იქაურობასო:— გაიმეფა— გეგმურად ბერლემ მინიონას სიტყვები და დაუმატა:— ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი ბავშვი. შენი სახელი?

— მე მქვიან მინიონა ბრანდტ.

— იმ ქალს რა მქვია, რომელსაც გამოქცევიხარ? გინდა დაბრუნდე მასთან?

— არა, არა!— წამოიძახა შეშინებულმა მინიონამ— ღვთის გულისათვის, არ დამაბრუნოთ მასთან, არ დამაბრუნოთ!

— ბავშვს შოგონდა გუშინდელი ცემა და წვალება და მთელ ტანში ერთნაირად დაუარა.

— მაშ ამ შარა გზაზე ხომ არ დარჩები? უნდა სახლში დაბრუნდე; არა უშავს რა; აღარა გცემენ.

— ნეტა რას გააბი ლაპარაკი?— გადმოსძახა ეტლის ფანჯრიდან კოლმა კებერლეს:— გაგვაჩერე ამ ჯუღა ტყეში და აღარ იძვრი ადგილიდან. ნეტა რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი? ჩასვი ბავშვი ეტლში. შევალთ ქალიქში თუ არა, გადაცემთ პოლიციას; რაც უნდათ — ისი ქნან.

— მართალი ხარ! — უთხრა კოლს კებერლემ:— შენი აზრი მოსაწონია. აიდა, პატარავ, ჩაჯექი ეტლში. ასე, აბა, ახლა გაესწიოთ. მან დაჰკრა ცხენებს მათრახი, და მგზავრებმა განაგრძეს გზა. ამ წამიდან მინიონასათვის დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება.

ახლა შევიდეთ ბატონ კებერლეს ეტლში და ვნახოთ, როგორი მოწყობილობა აქვს მას შიგნით. ასეთი ეტლი მოგვაგონებთ ოთახს: აი—საეარძელი, მაგიდა, სკამები, პატარა შკაფი და, წარმოიდგინეთ, ლუმელიც-კი. ღამ-ღამობით იატაკზე იშლება ლოგინი და საშოგზაურო ეტლი იქცევა საწოლ ოთახად. ვაი თქვენს გვერდებს, თუ მგზავრობა გიხდებოთ უსწორ-მასწორო გზაზე.

შეალო თუ არა ეტლის კარები, მინიონას ყვეფით მივიარ-

და დიდი თეთრი ძაღლი და თათები შტრებზე დაუწყაო. შვი შვიშინდა და უკან დაიხია. დედაკაცმა ძაღლს დააბრტყა; კუთხიდან-კდ მოისმა ხმა:

— მაღამ პომპადურ, აქ მოდით. გრცხვენოდეთ! მოიხადეთ ბოდში! ეგრე, ეგრე, კარგი. მოიტათ თქვენი თათი, ძლიერ კარგი. მაღამ პომპადურ, მომაწოდეთ ტანისამოსი!

ძაღლიც გონიერად უგდებდა ყურს ბრძანებას და ასრულებდა, რასაც ეუბნებოდნენ. სანამ ბავშვი ტანთ ჩაიცვამდა, საიდგანლაც გამოვარდა შაიშუნი და ბავშვის თმას ვარცხნა დაუწყაო.

სასაცილო იყო ყველა ამისი ცქერა. მინიონა გააშტერა ასეთმა სანახობამ. მას თავის დღეში არ ენახა მგზავსი რამე. ის ვერც-კი გამორკვეულიყო, რომ უცბად მოესმა ხმა:

— სულელი, გაიძვერა; დილა მშვიდობისა, იოსებ!. მინიონამ მოიხედა და დაინახა ლურჯი ფრინველი, რომელიც უცქეროდა მას და გაიძახოდა: — გაიძვერა, სულელი, გაიძვერა, სულელი!..

მინიონას გონიერი თვალები გრაი საგნიდან მეორეზე გადადიოდა.

კებერლეს ცოლმა ყავა მოხარშა და სუფრაზე კიკები, პური და კარაქი დაალაგა. კალათიდან ბავშვს ტირილი მოისმა.

— აბა, დავვისბი ყავა, — უთხრა კებერლეს ცოლმა მინიონას, — მე-კი ბავშვს დავარწევ. ყავადანი ლუმელში დგას.

მინიონამ სწრაფად ასრულა დავალება. ამისთანა საქმეების გაკეთება კარგად შეისწავლა მან მებულკეს ოჯახში. ყველანი მაგიდას მოუსხდნენ. მინიონა მორცხვად იდგა განზე.

— აქ მო, ყავა დალიე და პურიც შეატანე: მშიერი იქნები. ხომ დიდი ხანია, რაც სახლიდან წამოხველ, — უთხრა ბავშვს კებერლეს მეუღლემ.



## XI

## ქრისტინე ადგილსა სტოვებს.

გავიდა ორი საათი მინიონას გაქცევის შემდეგ და ქრისტინე დაბრუნდა სახლში. მიუხაროდა, რომ მინიონას ნახავდა. ბაზარში შაქრის ჩიტი უყიდა და უნდა ეთავებნა. აბა, რა იცოდა, თუ მინიონა უკვე გაქცეული იყო? როგორც უკვე ვიცით, ქრისტინეს ოთახში მინიონა აღარ დაუხვდა. იატაკზე ეყარა სკრიპკის ნამტვრევები. ასეთმა სურათმა ქრისტინე შეაშინა. ვერ მიმხედარიყო, თუ რა მოხდა მის სახლში არ ყოფნის დროს. შეშინებული ქრისტინე გაექანა სამზარეულოსკენ, მაგრამ მინიონა არც იქ იყო. აქ შეეჩება თვალ-ცრემლიანი ავგუსტი და ჰკითხა, მინიონა ხომ არსად შეგხვედრიაო. კიდევ უფრო შეშინებულმა ქრისტინემ დაუწყა გამოკითხვა ავგუსტს, რომლისგან ყველაფერი დაწვრილებით გაიგო.

— რომ იცოდე, ქრისტინე, როგორა სცემეს, როგორა! — დაათვა გულამოსკენით მტირალმა ავგუსტმა.

— სცემეს? — ჩაეკითხა ქრისტინე, — მერე ახლა სად არის ბავშვი? ოთახებში არსად არის?

— არ არის: მთელი სახლი გადავებრუნე, მაგრამ ვერ ვნახე.

— დიდი ხანია, რაც წავიდა?

ავგუსტს არ შეეღძო დანამდვილებით ეთქვა; ახსოვდა მხოლოდ, რომ საათმა ოთხი დაჰკრა, როცა მინიონას გაშორდა.

— ახლა-კი შეიდი საათია, — წამოიძახა ქრისტინემ. მას დაავიწყდა, რომ ვახშამი უნდა მოემზადებია. გავიდა სახლიდან და დაიწყო ქუჩებში სიარული. — ასეთი და ასეთი ბავშვი ხომ არსად შეგხვედრიათო, — ეკითხებოდა ყველას. მაგრამ ამოდ: ქრისტინემ ვერა გაიგორა. ბოლოს დაქანცული და-



ბრუნდა სახლში იმ იმედით, რომ მინიონა შინ დაუბედა და. ბავშვი არც სახლში დაუბედა. გაბრაზებულმა ქალბატონმა დაუწყაო ლანძღვა ქრისტინეს დაგვიანებისა და ვახშმის მოუმზადებლობისათვის.

— რა შენი საქმეა ვილაც გოგოს ძებნა? ერთი ოხერი-სათვის ბატონები უნდა დაიფიწყაო? ირბინოს საცა უნდა მოშვიდება და მოვა; არ მოვა, და არც ამითი დაგვაკლდება რამე.

ასეთმა სიტყვებმა ქრისტინე მოთმინებიდან გამოიყვანა.

— ქალბატონო! შეიძლება ბავშვმა თავიც მოიკლას და ამისი მიზეზი, იცოდეთ, თქვენ იქნებით.

— შენ ხომ არ გაგიყვებულხარ!— დაუტანა ქალბატონმა ქრისტინეს.

— არა-კი, არ გავეციებულვარ— თქვენი გულ-ქვაობა მაღაპარაკებს ასე. დიად, დღემდის ვითმენდი, მაგრამ დღეს უნდა მოგახსენოთ ყველაფერი, რაც გულში მაქვს. ყური დამიგდეთ: თქვენ სახლში შემოსვლის პირველი დღიდანვე საბრალო მინიონა განიცდიდა აუტანელ ტანჯვა-წვალებას. მერე რისთვის? რა დაგიშავათ იმ უშანკო ბავშვმა! არაფერი. უსიტყვოდ და წარმოუდგენელი მოთმინებით იტანდა ის თქვენგან ცემასა და უაზრო დამცირებას. მაგრამ გახსოვდეთ, რომ არსებობს მალლა ღმერთი, რომელიც ყველაფერს ხედავს და ყველას დამსახურების დაგვარად მიუზღავს. ვინ იცის— როგორი კაცი დადგება ბრუნო? შეიძლება ბევრი დარდი და მწუხარება მოგაყენოთ თქვენმა შეილმა.

— გაჩუმდი, შე სულელო! აღარ დაგინახო ჩემ სახლში. დღესვე წაეთრიე. ბრუნო ხომ შენი შვილი არაა, რომ ასე ძალიან სწუხარ მისთვის?

— დიად; წავალ! რაკი მინიონა აღარ არის, ერთ ღამესაც აღარ გავათევ თქვენ ქერ-ქვეშ. რა დამაძინებს; როცა მინიონას ტახტს ცარიელსა ვხედავ? რად მიცქერით ასე გა-

კვირვებით? დიად; მინიონას ეძინა ზემს ოთახში. რალო მოსამსახურე გახლავართ, მაგრამ იმდენი კაცთმოყვარეობა კიდევ შემჩენია, რომ უსუსური ბავშვი თავვეებს არ დავაქამო. რას ფიქრობდით, როცა ბავშვს თავვეებით სავსე ბურჟულში ათავსებდით? სამი შვილის დედა ხართ და გული-კი ასეთი სასტიკი გაქეთ.

ქრისტინემ შეაქცია ზურგი ქალბატონს და წავიდა თავისი ბარგი-ბარბანის მოსაგროვებლად. არ დაივიწყა მინიონას ნივთებიც. ის ლენტრიკი შეინახა, რომელიც ავგუსტმა უძლენა მინიონას. შეაგროვა ყველაფერი და მიატოვა მებულკეს სახლი, სადაც ამდენ ხანს პათიოსნად მსახურობდა.

მებულკე ბევრი ეხვეწა, რომ ქრისტინე არ წასულიყო, დაჰპირდა, მინიონასაც მოენახავო, მაგრამ ქრისტინემ აღარ გადათქვა თვისი სიტყვა და წავიდა.

ავგუსტმა გააცილა ქრისტინე და გულ-მოკლული დაბრუნდა სახლში. გზა-და-გზა გაფაციცებით აღედგებდა თვალს გამწვლეულ-გამომვლელთ, მაგრამ მინიონას ვერსად შეხვდა.

მაშამ დაუძახა ბრუნოს და უთხრა:

— ახლავე წადი და გამოაცხადე პოლიციაში, რომ ბავშვი დაიკარგა.

გაიგონა თუ არა ქმრის სიტყვები, მებულკეს ცოლი გავიდა დერეფანში და დაუცადა ბრუნოს გამოსვლას.

— არ წახვიდე პოლიციაში, — უჩურჩულა მან შვილის — არ მინდა საზოგადოებამ გაიგოს, რომ ზენი ოჯახიდან ბავშვი გაიქცა. მადლობა უფალს, რომ მოგვშორდა. აი — დაიქი, — და ბრუნოს ხელში ფული ჩაუდო.

ბრუნომ იხეტილა ქალაქში, სანამ დედისგან მიღებული ფული სულ არ დახარჯა და, თითქოს აქ არაფერიყო, დაბრუნდა სახლში.

— გაიგე რაჟე ბავშვის შესახებ? — კითხა მას მაშამ.



გრუნომ შთელი ისტორია შეთხზა იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა პოლიციაში და რა უთხრეს მას იქ.

ამნაირად მინიონა აღარ დაბრუნებულა შებულკეს სახლში. ჩქარა ყველას დააეჩუცდა ის. მხოლოდ ავგუსტი თუ მოიგონებდა ძვირფას შეგობარს. ის ხშირად დადიოდა ქრისტინესთან და ეკითხებოდა: ხომ არა იცირა მინიონას შესახებო; მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს იღებდა:

— არა, ჩემო ავგუსტ, არაფერი ვიცი. მინიონა აღარ დაგვიბრუნდება; აღბად მოკვდა საბრალო ბავშვი.

ქრისტინე დარწმუნებული იყო, რომ მინიონა შკვდარია, და აოა ერთხელ გაპოიტირა ის.

გ. ლ — ძე.

### სსსსსსსს სიუი

(\* იოულამასე)



ლორე მე იოულა ეფენსენ ცამიე ცნეოე მდემ მე ... ქუეშე იგაო ამდენ სი-დე-ინცერ ანა-ე-ში იოლდოპ ფოტონ .ან-ინ-ინ-ინ-ანობა-ოდეს-... თედოფე სი მთბ, თოცე-ან

(... ) ...



# ილია ჭავჭავაძე.

(დასასრული \*).



ქ ისინი ბრძოლას უცხადებენ ცხოვრებას, არ ურიგდებიან მას და მირბიან, სტოვებენ სოფელს, ყაჩაღდებიან... ან რა უნდა ექნათ? სული ამაყი ველარ იტევედა ამოდენა შელაზხვას და ეძიებდა გზას სახ-

სნელს... და ნახეს კიდევ. ვისაც შესწევდა ძალი და გმირობა, მიატოვა სოფელი, წაიდა ტყეში, და იქ შეაფარა თავი. რა უყოთ, რომ იქ ელოდათ „უსახლ-კარობა, შიში, შიმში-

\*) იხ. „ნაკადული“ № 9.

ლი, მარტოკა გდება მხეცივით ტყეში, კურდღელსავითაა. ზელი ძილი და იარალი დღე-ღამე-ღამე ხელში.“ მაგრამ ეს მათ ვერ აშინებდა. კარგად იცოდნენ, რომ სოფლის ბორცვება იქამდის ადვილად ვერ მიადრეწვდა, რადგან იქ თვით იყვნენ თავიანთი ბატონები.

თუმც უჩალობა ვერაფერი მალამოა საზოგადო ტყვილის გასაყურებლად, მაგრამ კერძო, პირად იარას და წყლულს კი მაინც დააშუშებს, გააყურებს. ამგვარი ფორმა ბრძოლისა, სხვათა შორის, იმითაც აიღსნება, რომ ხალხს, როცა გაუნათლებელია და შეუგნებელი, არა აქვს შემუშავებული საუკეთესო იარაღები კულტურული ბრძოლისა, და ამ ფორმაშია ისაბება სწრაფვა უკმაყოფილო და შებოროტილი სულისა. იქ, სოფელში რომ ნიადაგი ყოფილიყო მომზადებული, ჩვენი უჩალები იქ დარჩებოდნენ და თავიანთ მოქმედებას სხვა გზას მისცემდნენ. მაგრამ ეს ასე არ იყო. ამიტომაც გააქცია დიდებულმა ავტორმა იგინი ტყისაკენ, გარს შემოახვია სიყვარულის ლეჩაქი და ბუნებას შესთხოვედა იმათ პატრონობას:

„ნიავე, ჩემო ნიავე,  
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,  
მსტვინავე, ჩემო მსტვინავე,  
შენ უაღერსე კაკოსა“-ო.

მიმართავს ბუღბუღს:

„ბუღბუღო, ჩემო ბუღბუღო,  
შოაკლე ეულს დარდები“-ო.

შესძახა ღრუბელს:

„ღრუბელო, აღმა მავალო,  
ის (კაკო) გებრაღებოდეს,

—მე კისრად ვიღებ; დამხსნელო, რაც იმას ემართლებოდეს.—ო.

ხედავთ, ი: ქვეყანაძემ, როგორც უუსაყვარლესი არსება, გაისტუმრა კაკო ტყეში, მის დაბურულ წიადში მოუპოვა ბინა სოფლიდან გამოქცეულს, და მისთვის ზრუნვას ბუნებას შესთხოვს. „გებრალეობდეთ,“ „მოაკლეთ ეულს დარდებიო,“ „ნუ სჩაგრავთ ტყეში ობოლსაო,“ „ნუ ემუქრებითო,“ „მიუალერსეთო.“ ნუ მიატყვეთ ყურადღებას, რომ იგი დევნილია, გამოქცეული. თქვენ ხომ არ იცნობთ სოფელს, თქვენ ხომ არ იცით, რათ არის კაკო გამოქცეული, და ამისთვის „მე კისრად ვიღებ, დამხსნელო, რაც იმას ემართლებოდესო.“

ხედავთ, რაოდენი თავდადება და სიყვარულია ამ ლექსში ჩაქსოვილი, და, ვიმეორებ, ილიამ მძლავრად დაჰგმო მის დროის წყობილება, ზურგი აქცია „ბრწყინვალეთა“ წოდებას, რომელიც ძველ ცხოვრებას ედგა სათაეში, და მთელი ყურადღება, მთელი აზრი და გრძნობა იქით მიაპყრო, საიდანაც მოსჩანდა პირველი სხივი ახალი ცხოვრებისა, სადაც იკაჭებოდა ახალი ძალა, ახალი ხალხი, რომელიც ძლევამოსილი მოდიოდა ცხოვრების დასაპყრობად, და ძველებს-კი უკიოდა:

„გეყო, მოვიდა დრო ანგარიშის,  
მოდი, გავსწორდეთ, ნუ იმალები.“

ეს იყო ხმა კაკო—ზაქრო—გამბროების მზიარული მაყრიონისა, რომელსაც ცხოვრება ნელა-ნელა უთმობდა ადგილს და ამ ახალ ხალხს მზიარულად ეგებებოდა. მაგრამ ამ ახალ ხალხს ხომ საკუთარი კერაც ესაჭიროებოდა, შშობლიური კერა, რომ თავისუფლად აემოძრაებინათ საკუთარი ძალ-ლონე, რომ შეექმნათ საკუთარი ცხოვრება. ეს კერა-კი



თითქმის არ არსებობდა. მათ სამშობლოში მხოლოდ ძიგო იყო გაშვებული, პატრონად-კი სხვა შემოსჩენოდა.

„ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როს-ლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძებაო, —“

კითხულობდა დიდებული მწერალი, და ნაღვლით სავსე, შორს... შორს გაიციქრებოდა. ყურს უგდებდა ბუნების ყოველ ხმაურს, ყურს უგდებდა ჩვენი ცხოვრების დენას, მაგრამ... „არსაიდან ხმა, არსით ძაბილი“...

ველარ მოითმინა დიდებულმა მწერალმა, და აღშფოთებულმა დაიძახა:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვსტირი?“

იგი გმირი არ აღმოჩნდა.

იგი აღარ გყავთ... მის მოედანი  
ჯაგით აღვსილია, ვერანად ქმნილია.

ხოლო სურათი-კი ასეთია:

გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,  
დაგინგრევიათ დიდი მამულიო.“

და ამ მამულის, სამშობლოს მიერ გამოწვეული სევდით ისეა შეპყრობილი ჩვენი მწერალი, რომ მას აღარაფერი არ ახალისებს, და რასაც-კი ჩაუკვირდება, ყველგან მამულის სევდა ახსოვს:

იქნება გახსოვთ ი. ჭავჭავაძის ლექსი: „ტყემ მოიხბა ფოთოლი.“ რამდენი გრძნობა და სიყვარულია შიგ ჩაგრებილი... ბუნების ზეიმი აღაფრთოვანებს მგოსანს, ახალისებს განახლებულს სიცოცხლეს, ღზენით აღსავსე კიკიკი გაზაფხულის შიკრიკისა, მაგრამ ეს ბუნების ზეიმი მისთვის ჩრდი-



ლოზია გახვეული და მგოსანიც, სევდა-მორეული, ზეპირსა  
ლობს:

„მამულო, საყვარელო,  
შენ რაღა აწყევდებია.“

მას ენატრება ხილვა განახლებულ საქართველოსი, სა-  
დაც თვით მისი ერი იქნება ბატონ-პატრონი თავის თავისა.  
მაგრამ არ გეგნოთ, რომ ი. ქავჭავაძე უიმედობით გასცქერო-  
დეს მომავალს. იგი დღეს თუ ზედავს მოწყენილ და დასევ-  
დიანებულ სამშობლოს, სამაგიეროდ იცის, რომ მომავალი  
მისია, და აკი ამისთვის მიმართავს იმედით აღსავსე;

„გემო კარგო ქვეყანავ,  
რაზედ მოგიწყენია,  
აწმყო თუ არა გეწყალობს,  
მომავალი ჩვენია...  
წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ,  
ნაზარდნი, გულ-მტკიცენი,  
მათი ფიქრის საგანი  
შენ ხარ და შენ იქნებია.“

მოზარდ ახალ თაობაზე დაამყარა მთელი იმედები ჩვენ-  
მა მწერალმა, და აქ, ამ მოზარდ თაობის აღმზრდელ დედას-  
მიმართა:

„ქართველის დედაო, ძუძუ ქართველისა,  
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,  
დედას ნანასთან ქვითინი მთისა  
მას უშაადებდა მომავალ გმირსა“-ო.

აქ დიდებულ ავტორს სურდა ეთქვა, და სთქვა უკიდეს,  
ათუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედას ბავშვის აღზრდაში;

თუ როგორ დედაზეა დამოკიდებული ბავშვის ცხოვრების ასე თუ ისე წარმართვა. ეს მართალია. თუ დედა, ეს ღერძი ოჯახისა, თავის ნანასთან ერთად, ბავშვს გულში ჩააწვეთებს ეროვნულ გრძობას, შემდეგ გასაძლიერებლად, თუ ბავშვის გულში გაზრდის იმ ნაზ ყვაილს, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ეწოდება, მაშინ თვით იმ ერის მომავალიც, რომელსაც იგინი ეკუთვნიან, — უზრუნველ ყოფილია. ოჯახი შერყენილი, დედა გადაგვარებული, — ვერ შექმნიან საღ შვილს. გაასუფთავეთ ოჯახი ყოველგვარ უწმინდურებისაგან, მოაცილეთ მას ჭიორა და ღვარძლი, გასწმინდეთ პერი, რომლითაც სუნთქავს იგი, და თქვენ აღზრდით საღ აღამიანებს.

მართალი იყო საფრანგეთის დიდი მწერალი ეან-ეაკრუსსო, როდესაც ამბობდა: „დედებო! თქვენ თვითონ აწოვეთ ძუძუ თქვენ შვილებს! მაშინ შესძლებთ ჩვენ აღორძინებას. ნუ მოიშორებთ თქვენგან ბავშვებს, და ჩვენი ცხოვრებაც გამოიცვლება: ხალხში კვლავ გაიღვიძებს კოცხალი და საღი გრძობები, და ყოველივე სიმაზინჯე და სიბინძურე თავისთავად მოისპობა... აღორძინდება ოჯახი და აღორძინდება საზოგადოებაც; ყველაფერი წესიერი და ბუნებრივი შეიქნება.“

ასეთია ოჯახის მნიშვნელობა, ასევე წარმოუდგენია ჩვენ მწერალს, როდესაც მიმართავს:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,

ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.

ჩვენც უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

აქ არის დედავ შენი მაღალი

დანიშნულება და საღმრთო ვალი!

აღზარდე შვილი, მიეც ძალი სულს,

საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,

შთაავონებდე კაცთა სიყვარულს,



მშობა, ერთობა, თავისუფლებას, —  
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს  
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს.  
მენდე, მიიღებს ნერგს შენგან დარგულს,  
და მოგვეცემს ნაყოფს, ვით კაცი-კაცურს.  
დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:  
ისე აღზარდე შენ შვილის სული,  
რომ წინ წარუძღვეს კეშმარიტება,  
უკან რჩეს კვალი განათლებული.

ასეთი სასოებით შესცქერდა მწერალი ქართველ დედას  
და სცდილობდა მის მოქცევას, გადაგვარებულის — გამმოგვა-  
რებას. სცდილობდა, რომ დედას აღესრულებინა საღვთო ვა-  
ლი შვილის წესიერად აღზრდისა, და მისცა, ასწავლა „ნანა“,  
რომლითაც შესძლებდა ბავშვის გულში საშობლოს სიყვარ-  
ულის ჩაწვეთებას.

„ნახავ ჩვენ ბედშობას,  
ჩვენ ერთობას დაკარგულს,  
ჩვენსა წამხდარ გპირობას  
და მამულს დაობლებულს...“

აინთე ცეცხლით გული,  
მტერსა დაეცი შეხად,  
ან ვით შვილი ერთგული,  
დააკვდი მამულს მსხვერპლად“.

ასე ასწავლის ბავშვის გულის გაკაებას, ვამაგრებას და  
ღიად საქმისთვის მსხვერპლად შეწირვას.

„ვისაც ძე არ შეუკლავს,  
როს მამულს სკირებია,  
შვილო, იმ ვაგლახ დედას.“

შვილი არ ჰყვარებია!..

მას დედის ძუძუ ტკბილი

შხამადაც შერგებია,

მამულისთვის სიკვდილი

ვისაც დაზარებია“!..

ასე უმღერდა ჩვენ მოზარდ თაობას ქართველი დედის პირით, ასე უშზადებდა და უზრდიდა სამშობლოს გმირებს. „უკვდავი არის შვილი, მამულისთვის მომკვდარიო,“ — კვლავ ვაგვიმეორა, და ასე, სამშობლოს საკეთილდღეოდ საბრძოლველად ვაგვიწვია. თანაც მოგვცა მავალითები სამშობლოსთვის თავ-დადებისა. აგერ „დიმიტრი თავ-დადებული“ როგორ წარბ-შეუბრვლად ეთხოვება ხალხს, მიდის სამშობლოს საკურთხეველზე მსხვერპლად შესაწირად, და თან ღმერთს ევედრება:

„ღმერთო, არ ვთხოვ აქ წამება

მანდ წამებით შემიმცირო,

მე ვთხოვ სისხლი აქ დაღვრილი

ჩემი სხვისთვის შეიწირო.

„ღმერთო, ღმერთო, თვალ-წინ მიდგა

დიდ-ტანჯული მე შე შენი...

ვით ძით ყველა, ისეც ჩემით

ერი ჩემი დაიხსენიო.“

ხოლო ჩვენ-კი გვაძლევს შემდეგ მცნებას:

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს

და ხალხს შესწიროს დღენია,

მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ

სახელი არ დარჩენია“.

აგერ სწული დედა, თითქმის მომაკვდავი, როგორ აცილებს შვილს მამულის დასახსნელად საომრად განმზადებულს:

„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე,  
 მამულო, შვილი,  
 სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს  
 შენთვის სიკვდილი“...

ტ ნაღვლობს, რომ ამ ნეტარ დღეს, როდესაც ამოდის  
 შუე მისი ქვეყნის, მხოლოდ ერთი შვილი ეწირება მამულს  
 მსხვერპლად.

„მე ვწუხვარ მასზე, რომ ჩემ მამულს  
 ამ ნეტარ დღესა  
 მხოლოდ-ღა ერთა შეაკვდება  
 ჩემგან შობილიო.“

ხოლო რაც შეეხება დედობრივ გრძნობას და გრძნობას  
 მამულის სიყვარულისას, იგი იძახის:

„ვით დედაშენი, იმ სიკვდილით  
 შენით ვივებ,  
 ვით ქართველის დედა, ვინეტარებ  
 და ვისახელებ“-ო.

აგერ შვილი, რომელიც სტოეებს სწეულ, მომაკვდავ  
 დედას და ეშაადება ომში წასასვლელად; შეხედეთ, როგორი  
 აღტაცებით ულოცავს დედას იმ ნეტარ დღეს საქართველოს  
 განღვიძებისას, და თან ეთხოვება:

„შშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,  
 ცოცხალი მოვალ, და თუ არა, ისე მოვეკვდები,  
 რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...  
 ნუ სტირი, დედი, გზათა ვდგვევარ, დამლოცე შვილი...  
 შშვიდობით, დედი! ძნელი არის შენი დათმობა,  
 მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გამობა-ო.“

ყველა ამით ილია ჭავჭავაძემ გვასწავლა მამულის სიყვარული, გადაგვიშალა მთელი მისი სიძლიერე და გულში აგვიბრიალა დიადი ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა. ამით მას სურდა შეექმნა ის ახალი თაობა, რომელზედაც ამყარებდა მთელ თავის იმედებს და სამშობლოს დასვედიანებულს უმღერდა:

„წერილ შეიღნი წამოგესწრენ,  
ნაზარდნი, გულ-მტკიცები,  
მათი ფიქრის საგანი  
შენ ხარ და შენ იქნები...  
ჩემო კარგო ქვეყანავ,  
მაშ რად მოგიწყენია,  
აწმყო თუ არა გვეყალობს,  
მომავალი ჩენია“-ო.

ეს არის ის ორი მთავარი ჰანგი, რომელსაც ეღერდა ჩანგი ჩვენი მწერლისა, და რომელსაც შეაღია მთელი თავისი დიადი ნიჭი. მან დიდი სამსახური გაუწია ჩვენ ერს, ეროვნული გრძნობის განმტკიცებაში და მის ამაღლებაში. მან მოგვცა ისეთი ნაწარმოებნი, რომლითაც თამამად შეგვიძლიან წარვსდგეთ კაცობრიობის წინაშე და ვაჩვენოთ, რომ ჩვენც შეგვძლება რამე, რომ ჩვენც გვქონია უნარი ნიჭიერ ხალხის წარმოშობისა. მან გაგვიმდიდრა მწერლობა, და, როგორც ბუმბერაზი, აღიშართა ჩვენს ისტორიაში. მაგრამ არ გვეგონათ, რომ ილია ჭავჭავაძემ მხოლოდ მწერლობით გაუწია სამსახური ჩვენ ცხოვრებას; არა, იგი ედგა სათავეში ჩვენ ცხოვრებას და ყოველი დიდი საქმის დამწყობი—ის იყო. სხვათა შორის მან დააარსა ბანკი ჩვენი თავად-აზნაურობისა; ამ გზით უნდა შებრძოლებოდა იმ სენს, რომელიც ქართველ ერს მიწა-წყალს ხელიდან აცლიდა. მანვე შექმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგად-

დოება, რომლითაც სურდა შუქი შეეტანა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და განათლების გზაზე დაეყენებინა. არ დაწყებული ჩვენში არც ერთი ღირს-შესანიშნავი საქმე, რომ ილიას არ მიეღოს იქ მზურვალე მონაწილეობა და ღინჯი, აუჩქარებელი გონებით არ წარეწართოს იგი კეთილ-დღეობის გზაზე. იგი, როგორც მთავარი პიროვნება, იღვა ჩვენი მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცხოვრების შუა გულში, და როგორც ჩვენი პლანეტა უფლის მზეს, ისე უვლიდა ჩვენი ცხოვრებაც ილია ქავექავაძის დიად პიროვნების გარშემო. ყველანი უსმენდნენ მას, და თუ ზოგჯერ არც ეთანხმებოდნენ, მაინც უსმენდნენ-კი, რადგან ეს მან საესებით დაიმსახურა. მან მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ფებ-დაფებ სდია ჩვენ ცხოვრებას და ყოველ კითხვაზე ჯეროვანი პასუხი გასცა.

მაგრამ ბრმა განგებამ სხვაგვარად დაატრიალა ჩვენი ცხოვრება, და ჩვენი ერის უებრო მოამაგეს ტყვია მიუძღვნეს. უვიცებმა და გონსარეულებმა ქართველ ერს ლეჩქი გადააბიეს და შეარცხინეს. ბოლო წიწამურის მიდამოზე-კი აგვაშენებინეს სამლოცველო. ვიაროთ იქ ცოდვათა მოსანანიებლად, თუ-კი შეეძლებთ. ძეგლად-კი ის ეყოფა, რომ ერთის მხრივ ღრმად გავიმსქვალნეთ იმ შშრომელ ხალხის სიყვარულით, რომლის შესახებაც გვიქადავა:

„რომ ბედში მყოფი  
 შენ ძმად მიგაჩნდეს,  
 ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
 სიტყვა ის არის—კაცს ის უყვარდეს,  
 ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“-ო.

და მეორე მხრივ-კი ნუ გაუცრუებთ იმ იმედს, რომლითაც დიდი მწერალი სამშობლოს ანუგეშებდა:

„წვრილ შეღლინ წამოგესწრნენ,  
 ნაზარდნი გულ-მტკიცები,  
 მათი ფიჭრის სავანი  
 შენ ხარ და შენ იქნები;  
 არ გიმტყუნებენ შენა,  
 თუ-კი მათ მიენდობი:  
 მათი ღვაწლით შეგეკმნეს  
 სახე ბედით მთენია,  
 ჩემო თვალის სინათლევე;  
 რაზედ მოგიწყენია“-ო.

მაშ განუხორციელოთ ეს იმედი, ნუ უმტყუნებთ!  
 ვახტანგ კოტეტიშვილი.







# საქართველოს უმსანიშნავი ადგილები.

(წერილი მეორე).

## ჯვარის მონასტერი.



იოველ წერილში\*) ჩვენ გვქონდა საუბარი მე-XII საუკ. ერთ-ერთ საუკეთესო ნაშთზე, ბეთანიის მონასტერზე. როგორც უკვე დავინახეთ, იქ, გარდა საუცხოო ხუროთ-მო-

ძღვრებისა, იყო მშვენიერი მხატვრობაც, როგორც სასულიერო, ისე ისტორიული. მხატვრობა, როგორც მოხსენებული გვქონდა, მეტად ხელოვნურად და გრძნობით არის შესრულებული.

დღევანდელ წერილში მე მსურს მოვიხსენიო საქართველოს ხუროთ-მოძღვრების უძველესი და უდიდესი ნაშთი—ჯვარის მონასტერი. მართალია—ეკლესიაში მხატვრობა არ არის, მაგრამ ამ მონასტერს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ეკ-

\*) იხ. „ნაკადული“ № 6

ლესიას (დარჩენილია მხოლოდ ეკლესია) ქართული ისტორიისა და ხელოვნების შესასწავლად აქვს დაუფასებელი მნიშვნელობა.



ჯვარის მონასტერი მე -VII სუკ.

ქართული ხელოვნების ისტორია ჯერ-ჯერობით შეუსწავლელია. არსებობს შრომა პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, მაგრამ ჯერ გამოუცემელია და შექმნილია საზოგადოებამ

იშითი ისარგებლოს. ხშირად კამათს ისეთი საკითხები ეწეოდა, თუ რა რიგის ხუროთ-მოძღვრება იყო გავრცელებული საქართველოში თავდაპირველად—ჯვარი თუ სიონი, და როგორი ჩუქურთმა იყო პირველად შემოღებული—წნული თუ ფოთლოსანი. ორივე ამ საკითხზე თითქოს პასუხს იძლევა ჯვარის შესამჩნევი მონასტერი. ეს მონასტერი გადაჭიმულია ზედაძნის გადმოკიდებულ კლდეზე, არაგვის მარცხენა ნაპირას, მცხეთის პირის-პირ. თვით ალაგი მონასტრისა ამტკიცებს, რომ მის ამომჩველებს მეტად განვითარებული და ფაქიზი გემოვნება ჰქონიათ. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის მიზეზი მხოლოდ ესთეტიური გრძნობები იყოს. ეს, როგორც ამას ამტკიცებენ პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევანი, დაკავშირებულია ქართველთა კერპთ-თაყვანის მცემლობასთან, ს:ხელდობრ მნათობთა თაყვანის ცემასთან, რაც სამლოცველოთათვის ლამაზ და მაღალ ალაგს მოითხოვდა. ასეთ ალაგებზე შენდებოდა ხოლმე კერპთა სამლოცველოები.

როდესაც საქართველოში ქრისტიანობა შემოვიდა, გამოეფა და სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა აღიარებული მათ ალაგებზე ეკლესიების შენება დაიწყეს, რათა კერპთ-თაყვანის მცემლობა ხალხისათვის უფრო ადვილად დაევიწყებინათ. ამასთანავე დარჩა, რასაკვირველია, მისწრაფება ეკლესიების ასეთსავე ლამაზ ალაგებზე აშენებისა, რაც სასულიერო საქმედ ითვლებოდა. ჯვარის მონასტერიც აშენებულია ერთ-ერთ კერპის სამლოცველოს ალაგას. კერპს წარმოადგენდა ეკლესიის შუა მოქცეული ლოდი, რომლისთვისაც გადმოცემით ადამიანთა მსხვერპლიც მოჰქონდათ საწირავად.

რომელი წმიდანის სახელზეა აშენებული ჯვარის მონასტერი, როგორც ბაქრაძე ამბობს, (ექტი V), გამორკვეული არ არის. მართალია, იგი დღესასწაულობს თავის განსაკუთრებულ დღესასწაულს—ჯვარი-პატიოსნობას, მაგრამ თვითონ სახელი „ჯვარის მონასტერი“ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ

რიგს ხუროთ-მოძღვრებისას, როგორც მაგალითად: სიონისა და მრგვალი. მრგვალი ეკლესიებიდან შენახულია მხოლოდ ორი. ჯვარი და სიონი-კი, მრავლად არის. — ჯვარი შეიძლება ყოფილიყო თანასწორ — ბოლოებშიანი ტ მოვარძო. ჯვარის მონასტრის ეკლესიაც არის წახანგოვანი, თანასწორი, კუთხიანი ჯვარი.

რადგანაც კერპთაყვანის-მცემლობა და შემდგომ ძველი ჩვეულებებისა და გემოვნების მოთხენილებანი სამლოცველოთათვის საგანგებო და ლამაზ ალაგებს მოითხოვდნენ, აღმაშენებელნი ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ისეთ შთა-გორიან ალაგებში, როგორც საქართველოა, ლამაზისა და მალლობი ალაგის პოვნა ძნელი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ადამიანი იშვიათად იპოვნის შტკიცე და საკმაოდ ფართე სწორ ნიადაგს, რომელზედაც უნდა დაფუძნებულიყო ეკლესია. ამ შემთხვევაში ადგილისათვის ან თავი უნდა მიიჩნებინათ, ან არა და რაიმე ხერხისთვის უნდა მიემართნათ. მართლაც ქართველ ხუროთ-მოძღვრების ნიქმა და უნარმა სძლია ამ გასაჭირს და შეასწავლა მათ ხელოვნურად, ბუნებრივზე არა ნაკლებ სიმტკიცის შექონე, ნიადაგის შექმნა. უსწორ-მისწორო ალაგის გასწორებას წინად ხუროთ-მოძღვრები „ქვეყნის დავაკებას“ უწოდებდნენ. ნიადაგის ხელოვნურად გაკეთებას-კი „ადგილის შემზადებას“. მართალია, ადგილის შემზადება ადვილი არ იყო, მაგრამ მათ არც ეს აშინებდათ. საჭირო იყო მხოლოდ ლამაზი და მაღალი, შორს გამჭვრეტი ალაგი; და ის თუ ვიწრო იყო, ფართოვდებოდა, უსწორ-მისწორო — სწორდებოდა და რბილი — მაგრდებოდა. საუცხოო სიმტკიცის დღღაბი მიწაზე კლდეს აჩენდა და კლდებზე განიერ და მაგარ ღონეს. რასაკვირველია ამ საქმეს ბევრი დრო და შრომა სჭირდებოდა, მაგრამ ეს ხომ საღმრთო და სასულიერო საქმე იყო და ასეთი საქმისათვის-



კი ქართველები არაფერს დაიშურებდნენ. თვით გვირგვინებენ, რამდენი მოთმინება და სიმტკიცე იყო ამისთვის საჭირო. ოპიზის მონასტრის ხელოვნური ნიადაგი, მაგალითად, ორმოცი წელიწადი შენდებოდა და მხოლოდ შემდეგ მიჰყვეს ხელი კედლების ამოყვანას.

ახლავს ხელოვნური ნიადაგი აგრეთვე ჯვარის მონასტერსაც, რომლის ნახევარი ნაწილი ხელოვნურ საფუძველზეა აშენებული და ეს ხელოვნური ნიადაგი სიმტკიცით თითქოს მეტოქეობას უწევს კლდეს, რომელთანაც შედუღებული და შესისხლხორცებულია.

ჯვარის ანუ ჯაჭვის \*) მონასტერი უძველეს ეკლესიად ითვლება, და თარიღიც ამასვე გვიმტკიცებს. ამაზე უფრო ძველი თარიღიანი ნაშთი საქართველოს არ მოეპოება. თარიღით ის აშენებულია მე-VIII საუკუნეში და მის აშენებაში ორი მფეე იღებდა მონაწილეობას. ეს მონასტერი უძველესი თარიღით, შესაშინევია თავისი სიმტკიცითაც, რადგანაც თორმეტი საუკუნის განმავლობაში საესებით დაუცავს თავისი სახე და აქამდის შეუკეთებლად მოუღწევია. ეკლესიის გარდაკედლებს მცირე, მაგრამ საუცხოო ფოთლოსან-ყვავილოსანი ჩუქურთმები ამშვენებენ. ყოველი სარკმელის ჩარჩოები ასეთი საუცხოო არშიითაა გარშემოვლებული. ეს ჩუქურთმები და თვით ჯვარის რივის ეკლესიის არსებობა საუცხოოდ ამტკიცებენ, რომ ძველი დროისთვის არც ჯვარის რივის ეკლესიებია ახალი მოვლენა და არც ფოთლოსან-ყვავილოსანი ჩუქურთმებია უცხო რამ. ეკლესიის კედლებს ამშვენებენ აგრეთვე სხვა-და-სხვა საისტორიო პირთა ქანდაკებანი.

ჯვარის მონასტრის ეკლესია იმ სახით, რომლითაც ჩვენამდის მოუღწევია, აშენებულია რამდენიმე პირისაგან. დაიწყო

\*) ჯაჭვის მონასტერს უწოდებენ იმიტომ, რომ გადმოცემით სვეტი ცხოველსა და ჯვარის მონასტრის შუა გაბმული ყოფილა ჯაჭვი, რომლითაც ბერ-მონაზვნებს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა შეეძლო.



კურატპალატმა გუარამმა და, როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, ადამიანის სიძალეზე იყვანა. გუარამ კურატპალატის შემდგომ ეკლესიის შენება განაგრძეს და დამთავრეს დემეტრე და ადარნერსე ვპატოსებმა. გალავანი და პალატნი მონასტრისანი ააშენა სტეფანოზ მე-II-მ.

მე-VII საუკუნე, როცა ჯვარის მონასტრის ეკლესია შენდებოდა, ცნობილია ისტორიაში ბიზანტიელთა ბატონობის განმტკიცებით. ბიზანტიელები-კი ყველგან, საცა მათი გავლენა არსებობდა, მორჩილ ერების მეფეებს ანიჭებდნენ ბიზანტიის სამეფო კარის სხვა-და-სხვა პატივს, როგორც მაგალითად კურატპალატია, პატრიკიოზი, ვპატოსი, მაგისტროსი და სხვ.

ჩვენი ისტორიული ნაშთიც საუცხოოდ გვიმტკიცებს საქართველოს ისტორიის ასეთ მოვლენებს, რადგანაც მის კედლებზე გამოყვანილ ქანდაკებებს აქვს წარწერები და ისინი არიან მატარებელნი სხვა-და-სხვა ბიზანტიური პატივისა. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ასეთი პატივი ეძლეოდა არა მარტო საქართველოს ერის მთავრებს, არამედ მისი მონატრული იყვნენ სხვა ერთა მეფენი და მთავარნიც. ევროპის ბატონებს-კი ამის გამო არა ერთხელ ჭიშობაც-კი მოსვლიათ. ჯვარის მონასტრის ალაგას, საცა წინად კერპი იდგა, ქრისტიანობის ემბლემა პირველად წმ. ნინომ ამართა; ქართლის ცხოვრების სიტყვებით, ჯვარი მცხეთიდან წამოიღეს დიდის ზემით და მეფისა და სამღვდელთა თანხლებით. როდესაც მთასთან მივიდნენ, წმ. ნინომ მთიდან გადმომდინარე მწარე წყალი გემრიელად აქცია, რამაც ხალხის სიხარული გააორკეცა. ესა და სხვა მრავალი სასწაული, ჯვარის წყალობით მომხდარი, ხალხს მრავლად იზიდავდა, და ამიტომ არ უნდა გავიკვიროთ, რომ ეკლესია, როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებს თავის „ქართველი ერის ისტორიაში“, ითვლებოდა იმ მთავარ სამლოცველოთა რიცხვში, რო-

მელნიც საქართველოს საკათალიკოსოში მხოლოდ <sup>ქართული</sup> სანამ ქართულ და სომხურ ეკლესიებსა და სემლედელოებსა შორის განხეთქილება ჩამოვარდებოდა, ამ ადგილს სალოცავად მრავალი სოფელი მოდიოდა. მაგრამ განხეთქილების შემდეგ სომხების ქათალიკოსმა მკაცრად აუკრძალა ხალხს საზოგადოდ ქართულ ეკლესიებში სიარული და კერძოდ ჯვარის საბლოცველოში ლოცვა.

ეკლესიის ამწუნებელნი და თანამედროვე ერის მთავარნი, გარდა გუარამ კურატპალატისა, კედლებზე არიან გამოქანდაკებულნი და ყოველ მათგანს აქვს წარწერა, მაჩვენებელი ქანდაკების ენაობისა. შუა თანჯრის ზემოდ გამოქანდაკებულია იესო ქრისტე და მის წინ დაჩოქილი სტეფანოზ ქართლისა პატრიკოსი. ქანდაკებას ახლავს წარწერა, ხუცური ასოთ-მთავრული ასოებით ნაწერი: ჟვარო მანხვანისაო, სტეფანოზ ქანაღისა პატრიკიოზი შეიწავლე.

მარჯვენა თანჯარაზე ზემოდ გამოყვანილია გაბრიელ მთავარ-ანგელოზი და ადარნერსე კპატოსი წარწერით: წმიდაო გაბრიელ მთავარ ანგელოზო, ადარნერსე კპატოსსა შეიხ კეჟე.

მარცხენა თანჯარაზე ზემოდ გამოქანდაკებულია მიქელ მთავარ ანგელოზი და დემეტრე კპატოსი. ახლავს შემდეგი წარწერა: წმიდაო მიქელ მთავარ ანგელოზო, დემეტრე კპატოსსა შეიხ კეჟე.

უფრო ძნელი გასარჩევი წარწერაა სამხრეთ კედელზე გამოყვანილ ქანდაკებისა, რომელსაც კითხულობენ: წმიდაო სტეფანე, ქანაღ სეფესტოსი შეიწავლე.

არის კიდევ ერთი ქანდაკება გუმბათზე წმიდანის წინ დაჩოქილი ქაცისა, მაგრამ მისი გარჩევა სიმაღლის გამო მეტად ძნელია და წარწერაც არ სჩანს. ქანდაკებებს აქამდის კარგად მოუღწევიათ და 12 საუკუნის განმავლობაში შეუნახავთ ქართველი ერისათვის საისტორიო პირთა სახელები და მაშინდელი ჩაცმულობა ქართველებისა. ზემო მოხსენებულ პირთ უცნაუ-

რი, განიერი, ნაოქებიანი შარვლები იცვიათ. გძელი წამფსა-  
სხამი სტეფანოზ ქართლისა პატრიკიოზისა მეტად გრძელი



ქობაძე სეფასტოსი (ფარა მე-VIII საუკ. მონასტერი.)

სახელოებით ჰფარავს მის ქვეშოდ ტანსაცმელს. სახელოება  
თვით მოსახსამზე გძელია და იმდენად ვიწრო, რომ შათი





ქალაქის იუსტიციის დეპარტამენტიდან მიმოსულია. საქართველოს  
საბჭოთაო სოციალისტური  
რესპუბლიკის

ჩაცმა შეუძლებელია. ფეხზე ყველას მაღალი წაღები აცვიათ. ქობაჯღ სევასტოპოლს წამოსასხამი არა აქვს და გველი ნაოქიანი საშოსი აცვია. წელზე არტყია სარტყელი, რომელზედაც რაღაც სამკუთხედები ჰკიდია. ქუდი არც ერთ მათგანს არ ხურავს. თვით წმიდანების ჩაცმულობაც მეტად საინტერესო და თავისებურია.

ხეშო მოყვანილი წარწერები არის უძველესი ნაშთი ქართული მწერლობისა. ამათზე უფრო ძველი წარწერები ჯერ არ მოიპოვებინა და ამიტომ ჯვარის მონასტრის მნიშვნელობა ორკეცდება, რადგანაც აქ მშვენივრად შეიძლება დაინახოს ადამიანმა, რომ ქართული მართლწერა უკვე სავსებით შემუშავებულია და ასოები თავის მოხაზულობას უკვე აღარ იცვლიან. ამიტომაც არის, რომ ჯვარის მონასტერი ბევრად უფრო განთქმულია სხვა უფრო ხელოვნურად შემკულ ეკლესიებზე და არც გასაკვირია, რადგან მასში ქართველები ხედავენ ხელოვნურად შესრულებულ საფუძველს, რომელზედაც აშენდა ქართული ხელოვნება და მართლწერა.

ეკლესიის შიგნით ძველი უკვე არაფერია დარჩენილი, არც მხატვრობა და არც სხვა რაიმე ნაშთი. ეკლესიის შუა ამოკიპულან ის დიდი ლოდი, რომელზედაც კერპთ თაყვანისმცემელი ქართველები ლოცულობდნენ, და; „ქართლის ცხოვრებით“, ადამიანის მსხვერპლებს სწირავდნენ. მოიპოვება აგრედვე საუცხოო ჩუქურთმით დაფარული მარმარილოს კანკელის ნამტვრევები. ახლანდელი კანკელი უბრალო ქვითა და კირით. არის ამოყვანილი ერეკლე მე-II დროს. არის აგრედვე ეკლესიაში თეიმურაზ მეფის მიერ მოჭედილი ჯვარი.

მეშვიდე საუკუნის ეკლესიას ჩრდილოეთით და სამხრეთით მიშენებული აქვს ორი უფრო გვიან აშენებული ეკლესიები. სამხრეთის ეკლესიას თან ახლავს წარწერა, რომელიც შენობის შიგნით არის მოქცეული და ძნელად იკითხება. ეს წარწერა პირველად წაიკითხა ბ. ნატროშვილმა: „წაღობითა“



შ. კ. კ.

ჯვარი შუკუდალი მუფე თეიმურაზის მიერ.

უელასთა და შქუქანთა ჯვარისა მე თემესტია მხევაღმან ქრისტე-  
სამან აღუ შინე საყოფელი ესე სასხენებულად სულას ჩემისა ია-  
ევანის საფუელად დედათა.“


ვინ არის ეს თემესტია — დანამდვილებით თქმა ძნელია,  
რადგანაც თარიღი არ ახლავს, მაგრამ შესაძლებელია ეს ის  
ცნობილი მოღვაწე მონაზონი ქალი იყოს, რომელიც გრი-  
გოლ ხანძტელის ცხოვრებაში მოხსენებულია და მე-IX საუ-  
კუნეში ცხოვრობდა. ესევე წარწერა ამტკიცებს, რომ ჯვარის  
მონასტერი დედათა „საყოფელი“ ყოფილა. ამ ეკლესიაში  
შესანიშნავე სხვა არაფერია. აღარაფერია დარჩენილი აგრედ-  
ვე ჩრდილოეთის მხრით მიშენებულ ეკლესიაში, საცა ადამი-  
ანსა ახლაც შეიძლება იპოვნოს კედლებიდან ჩამოცვივნილი  
სოფიის კენჭები \*); რომლითაც აქ წინად ხატები ყოფილა  
ამოწყობილი. საყურადღებოა აგრედვე კედელში ჩატანებული  
მხატვრულად შესრულებული სვეტების ჩუქურთმიანი ხარის-  
ხები \*\*) და თავები.

ეკლესიის ქვეშ ხელოვნურ გამოქვაბულებში გამართული  
ყოფილა სენაკები.

ჯვარის მონასტრის მდებარეობას და ნაშენობას არა ერ-  
თი და ორი უცხოელი მოუყვანია განცვიფრებაში და აღტა-  
ცებაში. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს აგრედვე პალატისა  
და გალანის ნანგრევები, რომელთა ფარგლებში შემთხვევი-  
თი მიწის გათხრამაც ბევრი საუცხოვო ხელოვნებით შესრუ-  
ლებული ნივთი და კლასიკური თიხისაგან გაკეთებული თა-  
ვეები აღმოაჩინა. ხელოვნება და სიწმინდე ძერწვისა-კი ამტკი-  
ცებს, რომ ეს თავები დიდი ხნისა არიან ღ შეიძლება კერპთ-  
თაყვანის მკემლების დროს ეკუთვნოდნენ, როდესაც ჯერ  
კიდევ ყვაოდა ყველგან განმტკიცებული ელინთა, ანუ, რო-  
გორც ქართველები უწოდებდნენ, იონთა კლასიციზმი, რომ-  
ლის გავლენა მათ ცხადად ეტყობათ.

\*) სოფიის კენჭები — წინაქარი.

\*\*) ხარისხი ნიშნავს სვეტის საფუძველს — ბაზისს.



სვეტების ჩუქურთმაცაი თავები ჯვარის მონასტერში.

სამწუხაროდ ჯვარის ეკლესია ცულ მდგომარეობაშია. მშველელი-კი არსითვან სჩანს. ქართველები უფრო ხშირად და უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ უცხოელთა ძეგლებს, ვიდრე საკუთარს. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი დროის ამბები. ქართული საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთები დიდ გულის წყრომას უძღვნიან გერმანელებს რეიჰსის ტაძრის დანგრევისათვის. მათ აკვირვებს, რომ ომის დროს, როცა ადამიანი ადამიანის სიცოცხლეს არაფრად ავლებს, გერმანელებმა საომარი მოსაზრებით რეიჰსის ტაძარი დაანგრიეს. რასაკვირველია, გერმანელების გამართლება ძნელია, მაგრამ მათი განსამართლების მაგიერ უმჯობესი იქნება ქართველებმა თავის უფრო ძველ და ხუროთმოძღვრების არა ნაკლებ საყურადღებო ნაშთებს ყურადღება მიაქციონ, რათა უზრუნველობით მათ დანგრევის ხელი არ შეუწყონ და ბევრად უფრო დიდი ბარბაროსობა არ გამოიჩინონ.

ი. ანთაძე.





ესკიმოსებსას ბანა ზამთრობით.

## ზორეული ჩრდილოეთი.



წერდი-წერილს ანუ მიგვიანებ, ხშირად მომწერეო; ვამაცანი ის ხალხი და ჭვეყნები, სადაც შენა ხარო. აქამდის ვერ ვახერხებდი მოწერას; ახლა მოვიცალე და

შინდა ცოტა რამ მოგწერო მდინარე ენისეის ნაპირებზე მცხოვრებთა ზნე-ჩვეულების შესახებ. დამიგდე ყური:

ციმბირში ენისეი, როგორც იცი, ერთი უდიდესი მდინარეთაგანია. ახლა შე აქა ვარ. ამ მდინარის ნაპირებზე ცხოვრობს ყველაზე ველურა ხალხი მთელს ციმბირში—ესკიმოსები. ისინი ცხოვრობენ ცალ-ცალკე გვარეულობით, როგორც ჩვენ საქართველოში ცხოვრობდა ხალხი მეფობის შემოდგომამდე.

საქართველოს საბავშვო ლიტერატურის სამეცნიერო ცენტრი

საქმელ-სასმელს შოულობენ ნადირობით და თევზაობით. მათ ზნე-ჩვეულებას პირვანდელი ხასიათი ემჩნევა. რასაც იშოვიან, ტყავს თუ ბეწვს, ზამთარში ნადირობით, გაზაფხულზე იყოფენ თანასწორად, რომ გაასწორონ ბედის უსამართლობა, რადგან ზოგი ბევრ ნადირს ჰკლავს, ზოგი-კი ცოტას

ვინც ესკიმოსების ცხოვრებას დააკვირდება, ბევრ კარგ თვისებას შეამჩნევს: ზრდილობიან ქცევას, ქალის პატივისცემას, ბავშვებზე ზრუნვას. განსაკუთრებით მამაკაცი არ სთვლის იქ ბავშვის მოვლას თავისთვის სასიარტობოდ და დედასავით უვლის. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ვერ გაიგონებ იქ ლანძღვა-გინებას ან უწმაწურ ლაპარაკს. იმათში ვერ შეხვდები ვერც ტყუილის მთქმელსა, ვერც ქურდს.

ერთხელ ჩვენმა თანამგზავრმა მონაწილეობა მიიღო საგვარეულოს ერთი წევრის გასამართლებაში. მოხდა შესანიშნავი, ჯერ არ გაგონილი ამბავი ამ ხალხის ცხოვრებაში: ერთმა კაცმა მიისაკუთრა სხვის ბადეში გაბმული თევზი. ეს დანაშაული იმიტომ ჩაიდინა, რომ თავისი დამშეული ცოლ-შვილი სიკვდილს გადაერჩინა. ამისდა მიუხედავად ქურდობა ისეთ დანაშაულად ჩასთვალეს, რომ დამნაშავე გაასამართლეს. მაგრამ ყველას ებრალებოდა დამნაშავე. დააყენეს იგი მოსამართლეს მარცხნივ, როგორც ამბობდნენ იმიტომ, რომ გულთან უფრო ახლოს იქნება და მოსამართლე ვეღარ შეხედავს მკაცრი თვალითაო. როდესაც მოსამართლემ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც დამნაშავეს აეკრძალა მონაწილეობის მიღება ერთ საგვარეულო დღესასწაულში, დამნაშავემ—წვერ-ულვაშიანმა, ხანში შესულმა კაცმა—ბავშვივით დაიწყა ტირილი. ტოლ-ამხანაგებიდან გამოკლება იმ დროს დიდ უბედურობად მიაჩნდა. რაც უფრო ახლოვდებოდა დღესასწაული, მით უფრო ცხარე კრემლით სტიროდა, მით უფრო ინანიებდა თავის ცოდვას.

ბოლოს, უკმის წინა დღეს მოსამართლესთან (მართლმადამართლებელი იმის თქმა, რომ მოსამართლედ იყო თვით ჩემი თანამგზავრი, რომელმაც დაიმსახურა იქ ხალხის სიყვარული და ნდობა) მოვიდნენ მთელი გვარის უფროსები. იმათ ვერ აეტანათ დამნაშავეს ცრემლი და მონანიება და მივიდნენ სასჯელის შესრულებების სათხოვნელად. ჩვენ ვიცით, — დაიწყეს იმათ, — რომ მოსამართლეს სიტყვა წმიდა და შეუცვლელია, მაგრამ დამნაშავე ხომ მწარედ სტირის და ინანიებს ცოდვას, ამიტომ დღესასწაულის დროს დაბძანდით მინდორის ერთ ბოლოში და ნუ მოიხედავთ უკან, დამნაშავეს-კი შიშით ნება ჩირგვნარის უკან დადგეს, რომ შორიდან მაინც უყუროს ხალხის თამაშს და სიძლერასო.

პირობა დასდეს და დამნაშავემ მთელი დღესასწაული გაატარა ბუჩქნარში და ეს მიიღო ციდან მოვლენილ-მოწყალებად.

აი, ასეთია ის ხალხი, რომელსაც ვეღურს უწოდებენ. მინდოდა გამეცნო შენთვის ეს მხარე თავის მცხოვრებლებით, მაგრამ წერილი ისედაც გამიკიანურდა. მოგწერე მხოლოდ იმის შესახებ, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა. ჩვენ, ქალაქის მცხოვრებნი, ვამაყობთ ჩვენის ცოდნით, განათლებით, კარგის ცხოვრებით, სხვა-და-სხვა გამოგონებით და გამოკვლევა-გამომჩიებით. ამათ-კი ასეთი არაფერი არა აქვთ რა; სამაგიეროდ ბევრი ისეთი კარგი სულიერი თვისება აქვთ, რომ მათი მიბაძვა ჩვენთვის დიდათ სასიკეთო იქნებოდა.







# გრძოლა ადამიანისა გუნებასთან.

წერილი მეოთხე

I



ხლა რის გულისათვის ჰხარჯავს ადამიანი ამოდენა შრომას და ფულს მიწის გაპოხიერებაზე, მორწყვაზე, დაშრობაზე და დაცვა-შეძენაზე, რაზედაც წინა წერილებში ვილაპარაკეთ?

•მის პასუხი თქვენც კარგად იცით: იმის გულისათვის, რომ მოიყვანოს მიწაზე ის მცენარეები, რომლებიც საჭიროა ადამიანის საზრდოდ. ადამიანები ბეჯითად ხნავენ თუ ჰბარავენ მიწებს, სთესენ მათზე ყოველგვარ მცენარეებსა და ცდილობენ მიიღონ მათგან რაც შეიძლება მეტი და კარგი მოსავალი. დიდ შრომას და ჯაფას ეწევა ადამიანი, რომ უფრო და უფრო გააუკეთესოს მისთვის საჭირო მცენარეები და ისეთ ადგილებშიაც ახვიროს, სადაც დღემდის სრულიად არ იზრ-

დებოდა. მაგალითად ისიც-კი მოახერხეს ადამიანებმა, რომ ცივ კიბში და ყინულოვან გრელანდიაშიაც-კი მოიყვანეს და ახერხეს ბევრგვარი საბოსტნე მცენარე და ქერი. ასევე მთებზე. გეოლოგებთან, რომ მაღალ მთებზე ძვეს საუკუნო თოვლი და იქ ამის გამო ვერა გვარობს ვერაფერი არი მცენარე, მაგრამ ამ საუკუნო თოვლის ქვეყნებშიაც-კი, ცოტა ქვე მოდ, მთების მწვერვალოდან ესე ორასი — სამასი საფენის მანძილზე, ადამიანებმა მაინც მოახერხეს ზოგიერთი მცენარის მოყვანა, მაგალითად, კარტოფილისა და ქერისა.

გაგონილი გექნებათ აგრედვე, რომ ყოველ მცენარეს აქვს თავისი სამშობლო, სადაც ის შობილა და მომრავლებულა პირველად. ადამიანმა გადაისახლა და მოამრავლა ეს მცენარეები თითქმის ყველა ქვეყნებში და მისცა მათ ახალი სამშობლო. მაგალითად, ბევრი ჩვენი ხეხილი ინდოეთიდან არის გადმოტანილი: ხოლო აბრეშუმის კიის საკვები ფურცელი და თვით კიაც ხომ ჩინეთიდან არის მოყვანილი. ჩვენებური პური, ქერი, შვრია, მუხუდო, სელი და სხვა, — წინად სრულიად არ იზრდებოდა ამერიკაში და მხოლოდ იქ გადასახლებულმა ევროპელებმა ევროპიდან გადაიტანეს ეს მცენარეები ამ სამასი წლის წინად, როცა აღმოაჩინეს ამერიკა, და ისე მოამრავლეს, რომ დღეს რამდენიმე მილიარდ ფუტს კირნახულს აგროვებენ ყოველწლივ.

ასევე: ევროპაში და ჩვენს საქართველოშიაც წინად სრულიად არ იზრდებოდა თამბაქო, კარტოფილი, სიმინდი და სხვა. ეს მცენარეები ადამიანმა მარტო ამერიკის აღმოჩენის შემდეგ გადმოიტანა იქიდან ჩვენში და მშვენიერადაც ახერხა.

გაგონილი გექნებათ, რომ ცივ-ცხელების წამალი, ქინა-ქინა, კეთდება ერთგვარი ხის ქერქიდან. ეს ხე პირველად მარტო ამერიკაში იზრდებოდა, მაგრამ, რადგანაც ევროპელები დიდ ფულს აძლევდნენ ამერიკელებს ამ ხის ქერქში,

ამერიკელებმა ისე ხარბად და უაზროდ გააჩანაგეს ქვეყნის ტყეები, რომ კაცობრიობა სრულიად უჭინა-ჭინოდ უნდა დარჩენილიყო და ციებ-ციხელებიანებიც სულ უწყალოდ უნდა დახოცილიყვნენ. მაგრამ ევროპელებმა დროზე შენიშნეს ესა და ბეჯითად შეუდგნენ ამ საჭირო ხის მოშენებას ბევრ სხვა ადგილასაც, ევროპასა და აზიაში.

წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც დაპატომრებული იყო ნაპოლეონ პირველი, მის დროს მარტო სამოცნაირი მცენარე ითვლებოდა, ახლა-კი ამავე კუნძულზე 750 ნაირი მცენარე ითვლება.

წინად დედამიწის ზურგზე იზრდებოდა მარტო ერთგვარი მთავე ვაშლი (მაქალო) და მწკლარტე პანტა, დღეს-კი ადამიანის შრომით და ბრძოლით გაშენებულ ბაღებში ითვლება ათასნაირი ვაშლი და მსხალი, ორმოცნაირი ქლიაფი და სხვა.

ამ ასი წლის წინად ადამიანებმა იკოდნენ მარტო რვა-ნაირი მარწყვის მოყვანა, ახლა-კი მისი რიცხვი პირდაპირ უთვალავია და თვით მარწყვიც მეტად მსხვილი და გემრიელია. წინად კინკრუტა სრულიად წვრილ მარცვალს იხამდა, ახლა-კი ინგლისელები ისე ლახლოვდნენ კინკრუტის მოშენებაში, რომ მისი ბუჩქი ვაშლის ოდენა მარცვლებს იხამს...

ასევე მეტის-მეტად გაამრავლა და გააუკეთესა ადამიანმა პურისა, კარტოფილისა და კომპოსტოს ჯიშები. ინგლისის ახლო, ატლანტიკის ოკეანეში, მდებარეობს ერთი პატარა კუნძული, ჯერსეი, სადაც მცხოვრებნი მისდევენ მარტო მებაღობას და მებოსტნობას. ჯერსეილებმა ისე გააუკეთეს კომპოსტოს ჯიში, რომ იქ ეს მცენარე სიმაღლით ერთ ნაენამლის იზრდება და თავიც შესაფერისად დიდი აქვს. ჯერსეილებმა აგრედვე იმდენად გააუკეთეს კარტოფილის მოყვანა, რომ იქაურ კარტოფილს ხშირად ნახევარ არშინამლის სივრცე აქვს.

ამის ერთი ნიმუში სხვათა შორის ინახება თბილისში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ბარიათ. ქ.).

## II

დიდი ბრძოლა და შეცდინება დასკირდა ადამიანს ზოგიერთი ცხოველების ამოწყვეტაში და მოშენება-გაუკეთესობაშიაც. წინად დედამიწის ზურგზე მრავლად იყო სხვა-და-სხვა ნადირი. დიდი და სამკვდრო-სასიციოცხლო ბრძოლა დასკირდა ადამიანებს ამ ნადირებთან მრავალი ათასი წლების განმავლობაში, მაგრამ სამწუხაროდ, აქაც, როგორც ტყეების გაჩეხვაში, ბევრი შეცდომა ჩაიდინა ადამიანმა ნადირებთან ბრძოლაში: ბევრი მათგანი ისე მოსპო დედამიწის ზურგზე, რომ წამლადაც ველარსად იპოვნით..

ბოლოს მეცნიერებამ აქაც საზღვარი დაუდვა ადამიანის ასეთ აღვირ-აშვებულობას და დაარწმუნა, რომ ბრძოლა ბუნებასთან მარად გონიერი და წინ-დახედული უნდა იყოს, რათა მომავალში საზარალო და სასინანულო არ გაუხდეს თვით მას. მაგალითად, წინად, ოკეანებში ცხოვრობდა მრავალი ვეშაპის მზგავსი ცხოველი, რომელთაც ზღვის ფურებს ეძახდნენ და თითო 600 ფუთზე მეტს იწონდა. ეს ნადირი ამღევდა ადამიანს აუარებელ ხორცსა და ქონსა. მაგრამ გაუმაძღარმა ადამიანმა იმდენი ხოცა ეს იშვიათი და სასარგებლო ცხოველი, რომ დღეს წამლადაც აღარსად იპოვება. ასევე გააწყო და დღესაც აწყობს ადამიანი სრულიად უვნებელ, მაგრამ ფრიად სასარგებლო ცხოველებს—ვეშაპებს და ზღვის ძაღლებს, რომლებიც აგრედვე იძლევიან აუარებელ ხორცსა და ქონს...

ჩრდილო-ამერიკაში ამ რამდენიმე ათი წლის წინად ათასობით ცხოვრობდნენ იქაურ თვალ-უწვდენ მინდვრებში გარეული ხარები (ბიზონები); მათ ხორცს იქაური მცხოვრებ-

ნი, ინდოელები, საკმელად ხმარობდნენ, ხოლო ცხვენს ტანს საკმელად. მაგრამ აი მოვიდნენ ევროპელები თავისი მსწრაფელ-მსროლელი თოფებით და სულ 10—20 წელიწადში ისე გაწყვიტეს ეს სასარგებლო ნადირი, რომ დღეს რამდენიმე მილიონი ბიზონიდან იქ მხოლოდ რამდენიმე ასი ცალი-ლა თუ შობიპოვება!..

ასევე უანგარიშოდ სწყვეტადა გონება-დახშული ადამიანი ბევრ სხვა ნადირსაც, ვიდრე აქაც შეცნიერებამ თვალის არ აუხილა და არ აუხსნა, რომ ასეთი უაზრო ქლექტით სასარგებლო ცხოველებისა ის მარტო თავის თავსა ვნებს და სხვას არავის.

დობხანს ეგონათ, რომ შეურწეობისათვის სარფაა გარეული ფრინველების ზოცვა და ქლექტა, მაგრამ შეცნიერებამ აქაც აუხსნა და დაუმტკიცა ადამიანს, რომ გარეულ ფრინველებს ვაცილებით უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე ვნება, და ამიტომ არ კი უნდა ვსდევნიდეთ და ვწყვეტავდეთ მათ, არამედ ყოველი საშუალებით ხელს ვუწყობდეთ მათ გამრავლებას, რადგანაც, თუ არ იქნებიან ფრინველები, ისე გამრავლდება თავი და სხვა წერილი მავნებელი ცხოველები— მწერები, მატლები, რომ ჩვენი კირნახული და ბალ-ვენახები მარტო ამათ დარჩებოდათ სახრავად... გველი ხომ ძალზე საზიზღარი ცხოველია ადამიანის თვალში, მაგრამ უნდა სიმართლედ ვსთქვათ, რომ ესეც სასარგებლო ცხოველია, რადგანაც სკამს და სწყეტავს იმ მავნებელ მწერებსა და თავგებსა, რომლებიც ძირ-ფესვიანად ანადგურებენ ჩვენს ნაშრომსა და კირნახულს!..

ივ. როსტომაშვილი.

...მოს აქ ასკრომ  
...ნი ინდოელები  
...მეცნიერებამ  
...მეცნიერებამ  
...მეცნიერებამ



# „ნაკადული“-ს რედაქციაში



და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იუილება  
შემდეგი წიგნები:

- 1) **ტომის თავგადასავალი**, — თბ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . . 50 კ.
- 2) **რას გვიამბობს ოთახი**, — თბ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . . 20 კ.
- 3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი**, — ფასი . . . . . 1 მ. 20 კ.
- 4) **სკრუჯი და მარლეა**, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 25 კ.
- 5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** პ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.
- 6) **ბავშვობა და სიყრმე**, — მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 60 კ.
- 7) **ორი მხატვარი**, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . . . . . 15 კ.
- 8) **სამშობლო ბუნების ხარკე**, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი . . . . . 30 კ.
- 9) **შობა**, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი** — ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 11) **დათო**, — ირ. ევდოშვილისა, დიდების მამიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 12) **მოთხრობები**, — ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . . 5 კ.
- 13) **ივან-არაკნი**, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი . . . . . 75 კ.
- 14) **ბიძია თომას ქობი**, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა . . . . . 1 მ. 25 კ.

# 1914 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ“ - სე

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

წელიწადი მათე

ჟურნალი გამოვა ზეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით;

ქლიურ ხელის მომწერლის მიერ:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

**36** სურათს ნაკადულის I-ლ გვერდზე.

საშუალოდ 1914 წ. ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძრა და ცეცხლის მტრ ველი მთები“ (მრავალა სურათებით) გიორგი ანთელიძისა.

ესი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნაბევარ წლით—3 მან., ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის

**24** წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან.

ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით 7 მ. ნახევარი წლით 4 მ.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოკვლა დროზე შეგვატყობინონ.

### ხელის მოწერა შეიძლება

**ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. შთავრიშვილთან. **სამტრედიისში** — ვლ. ნაცვალაძესთან. — **შოთში** — თეოფილე კანდელაკთან: **ბათუმში** — ენ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინსარაძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში** — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვასო პაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ვასილ აბულედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში** — ნინო ლომოურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში** — ენ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში** — ივანე გომელაურთან. **განჯაში** — ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში** — ე. ოდიშარიასთან. **სიღნაღში** — ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში** — ივ. საათაშვილთან. **აღდექსანჯროპოლში** — ს. შატ. ბერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სამსონ მარჯანიშვილთან. **ხონში** — მ. ი. ქავეანიძესთან. **რაჭაში**. — მასწავლებ. ილია გოგიასთან

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუშანიშვილი.